# ცისკარი.

**1869**

თებერვალი.

წელიწადი მეცამეტე.

წოდება თხზულებათა:

1, — სევდა. (ლექსი) ვას. აკოფოვისა.

2, — შეერთება საქართველოსი რუსეთთან. [საქართველოს რუსეთთან შეერთების; მანიფესტის გამოცხადება შემდეგ მანიფესტის გამოცხადებისა შემთხვევები, რომლებიც მოხდა საქართველოში. — საქართველოს დაყოფა ახალ სამმართველოთ — იმპერატორის პავლეს გარდაცვალება — საქართველოში გამოგზავნა გრენადერის ტუჩკოვი 2-ს, მუშკატერის ლეონტიევის და ყაზახის პოლკებისა. ლაზარევისაგან ჯარების დაბინავება.) თ. ლეონიდ ბარათაშვილისა.

3, — ცხოვრება მეფის გიორგის მეათცამეტისა. პლატონ იესელიანისა.

4, საყდრის ახლოს თარის დაკვრა. (მოთხ.) იოსებ ელიოზოვისა.

5, წიგნი რედაქტორთან მოწერილი. თ. რაფიელ ერისთავისა.

6, რამდენიმე სიტყვა ლოტოს თამაშობაზე. კოსტ. ბერძენოვისა.

7, სინოპტიკური კალენდარი, რაფ. ისარლოვისაგან გამოცემული.

---

ტ ფ ი ლ ი ს ს.
კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ს ე ვ დ ა.

მახსოვს ის ჟამი ყმაწვილობისა,
ოდეს სიცოცხლე წინ მეშლებოდა,
რომელიც სხივში ირისის ფრისა
რაღაც ნაირად მეჩვენებოდა.
მაშინ სიცოცხლე მიმაჩნდა სახლად
სიყვარულისა და ერთობისა,
ყოველსა კაცსა ვსთვლიდი ძმობილად
ვანუგეშებდი ამით ჩემ სულსა.
ახ! შენც მახსოვხარ ჩემო ა.....
როს მაგონდება წარსულნი დღენი,
რათ განგვაშორა მუხთალ ბუნებამ,
მაშინ ვიყავით ხომ ბედნიერნი.

. . .

გავიდნენ ბევრნი წელიწადები,
თან განქრა ჩემი ახალგაზდობა
და დამრჩა მხოლოდ ხსოვნა, დარდები,
რომლით ვცან სოფლის ამაოება.
ფიქრით მოცული, ჩემს დროს ვატარებ,
ვცხოვრებ მარტოკა ქუწყნად მავალი;
ღმერთსა მაღალსა ხშირათ ვადიდებ,
რომე დამტოვა თავისუფალი.
სადღაა კაცი, სადღაა ძმობა
და სიყვარული კულავ სანატრელი,
განქრნენ ის დღენი, სძლევს ბოროტება,
თუ კი ასრეა, — მაშ რაღას ველი!

ვასილი აკოფოჟეი.

## შეერთება საქართველოსი რუსეთთან.

---

საქართველოს რუსეთთან შეერთების; მანიფესტის გამოცხადება; შემდეგ მანიფესტის გამოცხადებისა შემთხვევაები, რომლებიც მოხდა საქართველოში. — საქართველოს დაყოფა ახალ სამმართველოთ — იმპერატორის პავლეს გარდაცვალება — საქართველოში გამოგზავნა გრენადერის ტუჩკოვი 2-ს, მუშკატერის ლეონტიევის და ყაზასის პოლკებისა. ლაზარევისაგან ჯარების დაბინავება.

შემდეგ ერთმანერთთან რჩევისა, ვახტანგ წავიდა დუშეთისაკენა; იულონ და ალექსანდრე სოფელს კოშკში, იქიდამ წავიდნენ თავადთ ერისთვიშვლების მამულებშია, იმ განძრახვით, რომ ისინი იქიდამ გამოეყარათ. ერისთვსშვლებმა ეს ანბავი წინათვე შეიტყეს და ბატონის შვლებს ისინი თოფიარაღით დახვდნენ და შემდეგ მოკლეს რამდენიმე ხნის ომისა, ბატონისშვლები გაიქცნენ და ჯერ ცხინვალის ციხეში დაიმალნენ და მერე იმერეთს გავიდნენ.

იმერეთის მეფეს და ომარხანს ბატონის შვლებმა შემწე-

ობა სთხოვეს. ალექსანდრე ბატონისშვილიც თავისის მხრით განჯის და შემახიის ხანებთან ცდილობდა შემწეობის მოცემისას. მერე იმათ ერთათ გაგზავნეს ელჩი ბაბახანთანა, შემწეობა სთხოვეს და იმასაცა ფიქრობდნენ, რომ ლიახვი გაემაგრებინათ ყიზილბაშის ჯარის შემწეობისათვისა. ბატონისშვილებს იმედი ჰქონდათ, რომ რაკი გაზაფხული დადგებოდა მომიჯნავე ხანების ჯარებს ერთად შეკრებდნენ და იმათის შემწეობით თავიანთ საქმეს გაირიგებდნენ, თუმცა ის მოკავშირენი, რომლების იმედიცა ჰქონდათ ბატონისშვილებს შემწეობისა, ულონონი იყვნენ, მაგრამ ლაზარევი, საქართველოს მეფის ტახტის მემკვიდრის თანხმობით, მაინცკი ემზადებოდა ომის დასახვედრათ. რჩევა მოახდინეს და შემდეგ იმისა უბრძანეს ღენერალს ღულიაკოვს, რომ ყველასათვს ერჩია და ვისაც იულონის მხარე ეჭირა, ყველანი მართლის მხარისაკენ გადმოსულიყვნენ, იულონისა და იმისის ძმებისათვს თავი დაენებებინათ და ვინიცობა იყო ამ აზრზედ და რჩევაზედ თანახმა ვინმე არ გამხდარიყო, ისინი დაეტუსაღებინა, თუნდა რომ თვთ ბატონიშვილებიცა ყოფილიყვნენ. ყაზახელს თათრებს ლაზარევმა წიგნი მისწერა და ურჩია, ალექსანდრე ბატონისშვილს ნურას დაუჯერებთო და იმითი მშვიდობას ნუ მოშლითო. ამ წიგნმა ძალიან იმოქმედა და ალექსანდრემ თათრებში ვეღარა გააწყორა.

„მეტის მეტათ გაკვირვებული ვარ, გავიგე რა — მისწერა ლაზარევმა 26 იანვარს, განცხადება ქართლის ხალხს, რომ

ზოგნი ერთნი ქართლის თავადნი ამას არ აღასრულებენ (ე. ი. არ აღასრულებენ იმპერატორი პავლეს სურვილს), სამღუდელო ემორჩილება მეფესა, რომელიც მეფეთ არ არის, ხელმწიფე იმპერატორს ჯერ არ დაუნიშნავს. ამისათჳს გწერთ ყოველივე ამ გვარი უწესობა, რომელიც წინააღმდეგი არის კეთილ მდგომარე წესისათჳს, მოიმალოთ და იწყოთ მორჩილება ვალდებული; უკეთუ ამას არ აღასრულებთ, მაქუს იმედი დავიმორჩილო ყოველი წინააღმდეგი. ამასთან არას გამოცემულს ქაღალდს ყურადღება არ მიაქციოთ, გარდა გამოცემულისა მისის უგანათლებულებისაგან მემკვიდრის ბატონისშვილის დავით გიორგის ძისაგან და ჩემგან, რომელიც იქმნება ჩემის მმართებლობის ბრძანებითა.“

ამ გვარმა სახალხოდ გამოცხადებამ, დავით ბატონისშვილის საქართუელოს სამეფოს ხალხის უპირატესობამ, ორი წინააღმდეგი მხარენი უმეტესად აალელა. განსვენებულის მეფის ძმები და მათი დედოფალი დარია ცდილობდნენ მეფედ დამჯდარიყო იულონ, და შვილები გიორგი მეთორმეტე და მეუღლე მისი დედოფალი მარიამ ცდილობდნენ დავით ბატონიშვილის გამეფებისათჳსა. ორნივ მხარენი გულ მოდგინით ცდილობდნენ თავთავიანთჳს, რითაც როგორც შესაძლო იყო.

დარია დედოფალმა იანვარში შეატყობინა ლაზარევსა, მრთელმა ქართლმა, კახეთმა, თუშებმა, ფშაველებმა, ხევსურებმა და თათრებმა იულონისათჳს დაიფიცესო. სთხოვა

ნუ სდევენი ჩემს შვლებს ლეკებსავითაო. რასაკვრველი არის რომ ირაკლი მეფის შვლები კახეთში მივიდნენო? „ისეთი ვინ არის კახეთში და მეტადრე ქიზიყში, რომ ორჯელ და სამჯერ მეფეს ირაკლის თავისის საკუთარის ფულით ტყვეობიდამ არ დაეხსნას, იმათი პური იმისს მვლებს უფრო შეერგებათ.“ გონიერმა დედაკაცმა ამასთან წარმოსთქუა იმედი რომ იმპერატორი არ ინებებსო ამოდენი ქრისტიანის სულის ფიცი შეცვალოსო. დედოფალმა ამასთანავე მშჳჱ-ნივრად გამოთქუა ეს კითხვა: შეიძლება რომ განსვენებუ-ლის გიორგის შვლებმა უმეტესი პატივი მიიღონ, ირაკლის შვლებზედა?

ამაზედ უპასუხეს, რომ საქართჳჱლოს კეთილმდგომარეო-ბისათჳს მიღებული არის ზომიერება და გამოცხადებულიც არის ისაო და ამისათჳს საკვრველი არის რომ ისე ეჩვენება დედოფალი, თითქო არაფერი არ იცოდესო. კნორინლმა მოსწერა ლაზარევსა; გამოუცხადე დედოფალსაო ამ გვარის თავისის ქცევითა და მოქმედებითა ეჭვში შეჰყავს „თითქო წინაალმდეგი იყოს ეგ იმისი, რომელიც საერთო კეთილ-მდომარეობისათჳს მიღებული ზომიერება არის.“

დარია დედოფალმა სთხოვა დავითსა დამინიშნე საზდოთ დღეში ოცდა ათი მანეთიო, რომ მემეძლოს რიგიანი ცხო-ვრებაო. ბატონისშვლმა უპასუხა: გაქუს სოფლებიო, რომ-ლიდანაც მოგდის პური, ბრინჯი, ერბო, საკლავი, ღვინო, შეშა, ქათამი, კვერცხი, რძე და გარდა ამისა ფულით

შემოსავალი **4000** მანეთიო. დარიამ ამზედ ყვედრება დაუწყო, მართალს არ ამბობო, ჩემი შემოსავალი სულ **170** მან. მეტი არ არისო წელიწადშიაო და ეს იმისათვის მოუმატეო, რომ ვინც არ იცის, ას მოატყუოო.

„ყველანი რომ მოატყუო, დამიჯერე რომ ღმერთს ვერ მოატყუებ. მისწერა დარია დედოფალმა დავითს **24** იანვარს **1801** წ. ყველაზე უმეტესად მე ეს მიკვირს, რატომ შენის თავისა არ გეშინიან, რომ მაგდენს ტყუილს ამბობ. კიდევ მისწერა, ფარნაოზ რომ მოვიდეს და დაიფიცოს ხელმწიფის მართლმსახურებისათვის, მაშინ შენისაგან სამართლით წართმეული საუფლისწულო მამულები დაუბრუნდება, მაშ შენი კანონიერად არაფერში არ იქცეოდი. რომელს კანონში სწერია ფიცის დარღვევა და ძმის ლუკმის წართმევა? თქვენ ისიც უნდა გამოუცხადოთ ფარნაოზსა: როგორა გწამსთ ფიცი და როგორ შეჰფიცეთ იმასა, იმანაც იმ რიგათ უნდა შემოგფიცოსთ თუ სხვა რიგათა?"

იულონისა და იმისი ძმების ტაციობამა და ხალხის ცარცვამ ასე დააშინა ქართველები, რომ ტფილისში წასვლას ველარა ბედავდნენ და ამისათვის ლაზარევსა და დავით ბატონიშვილს, დროებით საქართველოს გამგებელს, სთხოვეს ხალხმა რომ ისინი მისულიყვნენ იმათთან გორში და დაეფიცნათ, იქ ისინი, სამეფოს დასამშვიდებლათ და რომ ბატონის შვილებიც დაემორჩილებინა, ლაზარევმა გაბედა ჯარებით წასვლა გორში. დარია დედოფალმა რომ შეიტყო

ეს ლაზარევის განძრახვა, სთხოვა ლაზარევსა მოიცადეო და ჯერ ნუ წახვალო. დარია დაჰპირდა: ჩემს შვლებს შეუთვლიო, რომ დაიშალნენო და თავიანთს ბინებზედ წავიდნენო. ლაზარევი ამაზედ თანახმა გახდა ამ პირობითა: 1, რომ იმისს შვლებს ხალხი არ ერბიათ, არ ეფიცებინათ და არეულება არ ექმნათ სამეფოში; 2, მეფის მემკვიდრის უნებურად ჯარი არ შეეყარათ ხოლმე, 3, ზარათებზედ იულონ ხელს რომ აწერდა, მემკვიდრეობით არ მოეწერა ხოლმე ხელი და 4, ბატონიშვლები (დარიასი) ყველანი ტფილისში ყოფილიყვნენ ხოლმე.

დედოფალმა დარიამ პირველს მუხლზედა სთქვა, რომ ტყუილი არისო, მეორეზედ და მესამეზედ თანახმა არ გახდა და მეოთხეზედ ასე სთქვა, რომ მაგაზედ ძალის დატანება არავის შეუძლიანო. დავითმა შეუთვალა დარიას, სამს დღეს გაძლევ ვადასაო, კარგათ იფიქრე მაგ საქმეზედაო. დარიამ ასე სთქვა რომ შუამავლობას ჩემს შვლებთან რომ დამშვდდნენო, ვერ ვიკისრებო, ამაზედ შეუთვალეს რომ ქართლში ჯარს გავგზავნითო. ჯარის გაგზავნა უთუოთ საჭირო აღმოჩნდა, ამისათვს რომ კიდევ ამბავი მოვიდა იულონის ბოროტმოქმედებისა. ფარნაოზს ლიახვის მამული დაეჭირა ერთიან ხელშია, რომელიც ერთს დიდს მაზრას შეადგენენ ქართლში, მიეცა ის მამული თავისის სიძისათვს რევაზ ერისთვისშვლისათვსა და ისიც ამისთვს დაჰპირებოდა თავისის ჯარით იმერეთის ჯართან შეერთებულიყო, რომე-

ლიც გროვდებოდა ხევით იმერეთში და ჯარის უფროსათაც ელიზბარ ერისთვისშვილი იყო. ამ გვარის შეერთებით შესაძლო იყო, რომ სხვები წინააღმდეგი მთის ხალხიც ამათ მისდგომოდათ და საქართველოში უწესობა მოეხდინა, მეტადრე ამისათვს რომ თითონ ბატონისშვილებიც აპირებდნენ იმერეთში წასვლას, და ბარგი კიდეც გაეგზავნათ.

„მე ეხლა მეეიტყე, მისწერა იულონს დავითმა რომ ლიახვი მიგიციათ თქვენის სიძისათვს რევაზ ერისთვშვილისათვსა და თქვენ თქვენის სახლობითა და ძმებით ფარნაოზით, აგრეთვე სახლობით და ალექსანდრეთი იმერეთში მისდიხართ, ამისათვს გიცხადებთ, რომ რადგან უმაღლესის ბრძანებით დადგენილი ვარ საქართველოს მართებელათა, ამისათვს თქვენ არა გაქვსთ ნება უბოძოთ არავის უძრავი მამული, გარდა ამისა თქვენი და თქვენის ძმებისა იმერეთში წასვლა ცხადი წინააღმდეგი არის ხელმწიფის ნებისა.

„ვინ შეგაწუხათ თქვენა, ჰკითხა დავითმა რომ უცხოს ქვეყანაში მიხვალთ და ძმებიც თან მიგყავსთ და საკუთარს მშობელს მამულს უტევებთ?... დაუტევეთ ეგ თქვენი განძრახვა, ნუ წახვალთ იმერეთში, ნუ ამტკიცებთ მაგითი თქვენს წინააღმდეგობასა და ნურც თქვენის სამშობლოს მამულის მუხანათი შეიქნებით.

ბატონისშვილები მაინცკი წავიდნენ საქართველოდამ და მერე ცოტცოტათ დამშვიდდა საქართველო, ასე რომ მრა-

ველმა ქართჳელებმა დაიწყეს წასვლა ტფილისში უშიშრათ, რომ ბატონისშვილებს ხელში არ ჩავარდნოდენ.

მაგრამ ამ გვარი მშვიდობა დიდის ხნისა არ იყო.

16 თებერვალს ლაზარევმა დაიბარა ტფილისის მცხოვრებლები სიონის სობოროში წირვის მოსასმენელათა. წირვა რომ გამოვიდა, ლაზარევმა იმ შეყრილს ხალხს გამოუცხადა მიზეზი იმათის შეყრისა. ორს ენაზედ, რუსულსა და ქართულზედ წაუკითხეს ხალხს მანიფესტი, 18 დეკემბრისა 1800 წლისა, რომლითაც საქართჳელო საუკუნოთ რუსეთთან ერთდებოდა.

საქართჳელოს ქათალიკოზმა ანტონ ბატონიშვილმა მადლობის პარაკლისი გარდაიხადა მუხლმოდრეკით. მთელი იმ დღეს ზარის რეკა იყო ტფილისის ყოველს ეკკლესიაში, ხალხი მხიარულებდა, ეს დიდის ხნის სურვილი აღუსრულდათ.

მეორეს დღეს 17 რიცხვს კვირას დღეს, იყო იმავე მანიფესტის გამოცხადება საერთოთ სომხებისათჳს, რომელნიც სცხოვრებდნენ საქართჳელოს სამეფოს ქალაქში, ამ ამბავში შემთხვევით დაესწრო სრულიად სომხეთის პატრიარხი თავადი იოსებ არყუთაშვილი დოლღორუკოვი, ის აპირებდა წასვლას უპირატესს ეჩმიაძინის მონასტერში და ტფლისში გზათ გაიარა და ამან დიდი შვენება და გაპატიოსნება მისცა მანიფესტის გამოცხადების დღესასწაულობასა.

სომხის ეკკლესიაში, რომელსაც ეძახიან ციხის საყდარს,

შეიყარა ხალხი დილით ადრე წირვაზედ და როცა ეს წირვა დასრულდა, ხალხი შემოსულნი სამღუდელონი წავიდნენ ქალაქს გარეთ ვანქის ეკკლესიაში.

მღუდლები, მთავრები და დიაკვნები ჯვრებით, დროშებით და ანთებულის სამთლებით წინ მიუძღოდნენ 74 მღუდლებსა, რომელნიც მიდიოდნენ ორ პირათა. ამ მღუდლების შემდეგ მიდიოდნენ რვა არხიმანდრიტი და მერე სამი მთავარი, ერთს მათგანს ეჭირა ხელში ვერცხლის დიდი ჯვარი და ორთა ანთებული სანთლები. მთავრებს შემდეგ მიდიოდნენ ორნი გამოჩენილნი პირნი სომეხნი და მიჰქონდათ იმპერატორის პავლეს სახე (პორთრეთი] ამათ მიზდევდა შემოსილი მიტროპოლიტი თავშიშველი, რომელსაც თავზედ ედგა ვერცხლის სინი ანუ ფოდნოსი, იმაზედ იყო უმაღლესი მანიფესტი და ზედ ეფარა ალის ფერი ფლორი. ორს მთავრებს მიჰქონდათ, ერთს მიტრა მიტროპოლიტისა და მეორეს კვერთხი. მანიფესტის შემდეგ ორს არხიმანდრიტს მიჰქონდათ ხატი ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა და მერე მიდიოდა ტფილისის სომხის არხიეპისკოპოზი ვერგიჯვრით ხელში.

ამ სამღუდელოს მიზდევდა დიდ ძალი ხალხი.

როგორც რომ ეს სამღუდელო გამოვიდა ციხის ალაყაფის კარიდამ, ამათ მიეგებნენ დავით ბატონიშვილი თავისის ძმებით და მრავლის თავადისშვილებითა, ღენერალ მაიორები ლაზარევი და ღულიაკოვი და სულ ერთიან ოფიცრები

2

რუსის ჯარისანი, რომელნიც იყვნენ ტფილისში.

სრულად შემოსილი იოსებ პატრიარხი, ოთხის არხიეპის-კოპოზით და ოთხის ეპისკოპოზით, ვანქის გალავანში მოე-გება ამ სამღუდელოს კრებასა.

პატრიარხმა ჯუარი და კუბრთხი, რომლებიც თითონ ხელში ეჭირა, მისცა იმ ყოვლად სამღუდელოთა, რომლე-ბიც იმასთან იყვნენ, თითონ მივიდა იმპერატორის პავლეს სახეს ჯერ საცეცხლურით უკმია და მერე მუხლი მოუყა-რა, რომ წამოდგა ემთხვია, გამოართო იმათ ვისაც ხელში ეჭირათ და აღამაღლა. ყველანი ვინც იქ იყვნენ, იმათზედ მაღლა ასწია და მაღლის ხმით სთქუა:

— ღმერთმან აღლეგრძელოს უდიდესი ხელმწიფე თავი-სის გვარეულობითა!

— ეგრე იყოს, ეგრე იყოს! ამინ უპასუხა ხალხმა.

მერე სახე ხელმწიფისა ისევ იმათ მისცა, რომლებსაც მოჰქონდათ და პატრიარხმა აიღო მანიფესტი, თავზედ დაი-დვა და სთქუა:

„ზეცისა შემოქმედმა აღამაღლოს და განაძლიეროს მეუფება პავლე დიდისა, ვითარცა მზე და მთვარე საუკუნოთ დროთი დრომდე..“

— ამინ, ამინ! დაიძახეს იმ შეყრილმა ხალხმა.

სამღვდელო და ხალხი შევიდნენ ეკკლესიაში. იქ ტრა-პეზის წინ იდგა სტოლი, რომელსაც ძვირფასი ფარჩა ეფარა და იმაზედ დასდეს მანიფესტი და ხელმწიფის სახეც იქ

დასდგეს.

პატრიარხმა სწირა.—გარდა იმ ხალხისა, რომელიც შეყრილი იყო, მთელი ტფილისის დიდკაცობა იქ შეიყარა, ბატონისშვილები, ბატონის რძლები, დარია დედოფალი, საქართუჱლოს ქათალიკოზი ანტონ ბატონისშვილი, თავადისშვილები და სულ ერთიან უპირატესი სამღუდელო. მაგრამ ეკკლესიაშიკი, ეს ამოდენი ხალხი, რომელთაც სურდათ დასწრება, ვერ დაიტია.

წირვა რომ გამოვიდა, პატრიარხი გამოვიდა ხალხთანა და უთხრა: რუსის ხელმწიფის ერთგულნი იყავითო.

—რა სიხარული გაწერიათ სახეზედ კეთილმორწმუნენო საქრისტიანო ხალხნო! სთქუა იოსებმა. რომ დაგინახეთ, მომეცა გაბედვა და აღვსო გული ჩემი რათა ვსთქუა: ოჰ დღეო ცხოვრებისა ჩუჱნისაო! ოჰ დღეო კეთილ დღეობისაო, დღე ესე მიგვეცემს ჩუჱნ ჭეშმარიტს განცხრომასა! ოჰ დღეო დამამტკიცებელო კეთილ დღეობის ხვედრისა ჩუჱნისაო! დღე, რომელსაცა ვერ მეესწრნენ წინაპარნი ჩუჱნნი. რა შევსწიროთ ჩუჱნ უზენაესს შემოქმედს? მადლობა, ვედრება, თუ სიმდაბლით გულის მოდრეკა, ყოვლისათჳს, რაც მისგან გარდმოვალს?, ნუ დავსცხრებით დავღვაროთ ცრემლი და ნუ დავსცხრებით საუკუნოდ ვადიდოთ ყოვლად პატიოსანი სახელი მისი, რათა ღირს ვიქმენით მოწყალებისა კაცთ მოყვარე იმპერატორის პავლესი, რომელმანცა მიიღო უმდაბლესი ვედრება ჩუჱნი

თავისს მსახურებასა ქვეშე მიღემისა, არათუ უარი გვყო, გვპირდება კეთილდღეობას და მშვიდობას, მაშინ როდესაც არას გამლელის ჩუენგან გარდა ერთგულებისა ღუთისაგან ფარულის ტახტისა მისისა.

— მე უმდაბლესი მწყემსი თქუენი — კიდევა სთქუა პატრიარხმა. ვევედრები დაუცხრომელათ ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, რათა განაგრძელოს დღენი ცხოვრებისა ჩუენის ხელმწიფისა ყოვლით თჳსით სახლეულობით.

— განაძლიეროს ღმერთმან დღენი ჩუენის ხელმწიფისა პაველ დიდისა, სრულიად რუსეთის იმპერატორისა! უპასუხა ხალხმა.

პატრიახმა რომ გაათავა თავისი ქადაგება, მერე მანიფესტი წაიკითხეს სამს ენაზედა: რუსულზედ, სომხურზედ და ქართულზედ და მადლობის პარაკლისი გადიხადეს.

ამავე დროსა ეგერის პოლკის კაპიტანი ტალანოვი, 24 ყაზახით ცხენით დაიარებოდა ქალაქის ქუჩამი და მანიფესტს უცხადებდა ხალსა რუსულს, ქართულს, სომხურს და თათრულს ენეზედ.

ეკლესიური წესი რომ გადიხადეს, პატრიარხმა იოსებმა დიდკაცობა სადილზედ მიიწვია, კარევები იდგა ეკლესიის გალავანში და კარვებში იყო გამლილი სადილის სუფრები. მთელს იმ დღეს ირეკებოდა ზარები ეკლესიებისა და სალამოზედაც ეს სიხარული მანიფესტის გამოცხადებისა დასრულდა იმითი, რომ იმ ღამეს ჩირაღდანი იყო ქა-

ლაქში.

ძალიან გაამხიარულა ხალხი მანიფესტის გამოცხადებამ.

„წელიწად ნახევარი არის აქა ვარ—მისწერა ლაზარევმა კნორინგსა 21 თებერვალს 1801 წელსა—ჯერ მე ამისთანა სიამოვნებ არ მინახავს, როგორიც არის ეხლა. რაც მანიფესტი მიიღეს მას აქეთ სულ თითქმის გამოიცვალა და განახლდა; ასე გაშინჯეთ, უნდა მოგახსენოთ, თითქმის ჯაერობენ ანუ სწყინთ, რომ ქართველი დაუძახოთ და არა რუსი.“

მანიფესტი ზალოტარიევს გამოატანა კნორინგმა და წიგნებიც ბატონის შვილებთან იმანვე წამოიღო პეტერბურღიდამ, იმაზედ რომ ბატონის შვილებსა და რძლებს ყველას ერთიან პეტერბურღში იწვევდნენ. ქალებს დიდს სახლს ჰპირდებოდნენ და კაცებს სოფლებსა და საჩუქრებსა. ამასთან თუ სამსახურს ისურვებდნენ, ამათი ღირსების შესაფერის ჩინებით მიიღებდნენ.

იოანემ, ბაგრატმა და მიხეილ ბატონის შვილებმა, მეფის გიორგის ძეთ, მაშინვე სურვილი რუსეთში წასვლისა გამოაცხადეს.

9-ს მარტს ესენი ტფილისიდამ გავიდნენ. 15-ს მირიან ბატონის შვილიც წავიდა. კავკასიის ლინიაზედ, რომ მივიდნენ, ბატონის შვილებმა კნორინგსა სთხოვეს, ჩვენი მამულები ისევ იმ რიგათ დარჩეს როგორც არისო, გლეხები

ჩუენს სახლობას ემორჩილებოდნენ და ყოველს ბრძანებას ასრულებდნენ, —კნორინგმაც ლაზარევს მოსწერა 12 მარტს, რომ ამაზედ ყურადღება ჰქონოდა.

23-ს მარტს გეორგიევსკიდამ წავიდნენ ბატონის შვილები და 12 მაისს პეტერბურღში მივიდნენ.

გიორგი მეფის ძმებიკი ტფილისში არ იყვნენ. თეიმურაზ გორში იყო, ვახტანგ დუშეთში იყო და სხვები იმერეთში წავიდნენ 296 კაცის ამალით.

მარტოკა ვახტანგ ბატონისშვილმა მიიღო სიამოვნებით, ისიც რასაკვრველია პირმოთნეობით რომ საქართველო რუსეთთან შეერთდა და იმანა და დარია დედოფალმა ერთათ მისწერეს იმერეთში წიგნები ამ საგანზედა და სთხოვეს ბატონისშვილებსა, რომ თავიანთ მამულში დაბრუნებულიყვნენ. რუსეთში წასვლაზედ კი უარი სთქუა, ამ მიზეზითა რომ კნორინგისაგან მონდობილი მაქვსო რომ რაც რუსეთიდამ საქართველოში ჯარი მოდიოდესო იმათის საზრდოსათჳს უნდა ვიზრუნოო. იმისი ფიქრი ეს იყო, რომ გაზაფხულამდისინ როგორმე დრო გაეტარებინა და მერე კიდევ რამ არეულება მოეხდინა მომიჯნავე მთავრების შემწეობითა. ბატონისშვილებს: იულონს, ფარნაოზს და ალექსანდრეს აგრეთვე მიუვიდათ რუსეთში წასვლის მიწვევა. ეს ქაღალდი თავადს მაჩაბელს გაატანეს და იმას ბატონისშვილები ჭალას ენახა, ქუთაისამდისინ ერთის დღის სავალზედა. იქ ურდო გაემართათ და წნული შემოევლოთ. თან მხლებელნი იმათნი

იმათნი 300 სულამდი'ან იყვნენ მამაკაცი და დედაკაცნი, საზრდო არა ჰქონდათ და სოლომან იმერეთის მეფეს სთხოვეს როგორც თავიანთს ნათესავსა. მეფემ მრთელს იმერეთს ხარჯი დაადო იმათთვს ამ სახელით „ქართვლებისათვს ხარჯი. ყოველს კომლსა ორი ფუთი პური და რვა თუნგი ღვინო უნდა ეძლიათ.

მაჩაბელმა ბატონისშვილებს წიგნები რომ მიუტანა, იამათ, დაჰფარეს ისინი და ვინც რასმე ჰკითხავდა, ეუბნებოდნენ ახალი არაფერი ამბავი არისო ისევ ძველი ამბავი არისო, ლაზარევისაგან გაკეთებულიო, კელმწიფემ არაფერი არ იცის საქართველოში რა ამბავი არისო.

იმერეთის მეფემ სოლომონ მაშინ იქ იყო, როცა ბატონისშვილებს ის წიგნები მიუვიდათ და რომ იმათ ისინი წაიკითხეს, მეფე მაშინვე ქუთაისში წავიდა და იმათ თავი დაანება, წასვლის წინათ დაიბირა თავისთან მაჩაბელი და უთხრა რომ, მე ეს ბატონისშვლები არ მომიწვევია ჩემთანაო, თითონ მოვიდნენო და მეც როგორც ნათესავებს პატივი ვეციო და მოვალეთ დავინახე ჩემი თავიო, რომ საზრდო მიმეცაო.

ბატონისშვლებს მაჩაბელთან დიდს ხანს არ ულაპარაკნიათ, იმათ გამოუცხადეს, რომ იმერეთში სიკუდილს ირჩევენ, საქართველოში დაბრუნებას ან რუსეთში წასვლასა.

იულონ ბატონისშვლმა უბრძანა: უთხარ დავითსაო, ტყუილათ უხარიან იმ სულელს მემკვიდრეობის წოდებაო და

სამეფოსკი ჰკარგავსო. „ათას შვიდასი წელიწადი არის რომ მეფობა მაგის გვარში მომდინარეობსო და ეგკი ჰკარგავსო. იულონმა სთქუა, ჯერ ჩუენ გვიბარებენ რუსეთშიაო და დავითსაც მალე წაიყვანენო, სხვები ვინც იყვნენ მეფის ჩამომავალნი საქართუელოში არც იმათ იამებოდათ ეს ამბავი აგრეთვე ბატონისშვილმა ანტონმა საქართუელოს კათალიკოზმა, რომ გარდაიხადა წესი და მანიფესტი წაიკითხეს, დაუფარავად ეტყობოდა სახეზედ უსიამოვნება.

თუმცა მეფის სახლობისას ზოგიერთს სწყინდათ, მაგრამ ნაცვლად ამისა ხალხს უხაროდათ. საქართუელოში მრავალს ადგილს აქეთ იქით გაგზავნეს მანიფესტი გამოსაცხადებლად და იქიდამ რომ იმისნი წამლებნი დაბრუნდნენ სთქვეს: ხალხმა ყველგან სიამოვნებით მიიღო ამბავი საქართუელოს რუსეთთან შერთებისაო; მხოლოდ ბამბაკში თათრებს ცოტა უსიამოვნოთ მიეღოთ ის ამბავი.

საქართუელო დამშვდდა, იმ გვარათ, რომ უკეთესი აღარ შეიძლება, მრავალმა იმერეთში ბატონისშვილებს გაყოლილმა თავადისშვილებმა, რომ გაიგეს მანიფესტის გამოცხადება, ყოველ დღე უკან დაბრუნება დაიწყეს თავთავიანთს სახლებში და წიგნებს გზავნიდნენ და მიტევებას ითხოვდნენ. უფრო გამოჩენილნი და სახელოვანი საქართუელოს თავადისშვილების გვარები რომლებიც იყვნენ სარდალი ორბელიანი, თუმანიშვილები, მელიქი ბებუთაშვილი, არღუთაშვილი დოლღორუკოვი, ამათ ყველამ თავიანთი ერთგულება რუსეთს განუცხადეს.

„თავადი ჭავჭავიძისა და ავალიშვლის სახლობაები, რომელნიც არიან ბევრნი და ხალხშიაც ხმა აქვსთ, საჭირო აღარ არის ვსთქვათ რამ ამიტომ რომ ისინი რუსეთშიაც იყვნენ და ერთგულობა დაამტკიცეს.„

ამ გვარს ერთგულებასთან, რასაკვირველი არის რომ წინააღმდეგნიც უკან ყოფილიყვნენ. რომელნიც პირნი აქამდისინ მართებლობისაგან გათამამებულნი იყვნენ, დიდრონი თანამდებობაები ეჭირათ თითქმის ჩამომავლობითა და ამათი შეეძლოთ ცარცვა და სიმდიდრის მოპოება, ისინი ამ საქართველოს ახალის ბედის შეცვლაზედ თანხმანი არ იყვნენ, ამისათჳს რადგან იცოდნენ რომ ამითი მოქმედება დაუსჯელათ არ დარჩებოდა და იმ გვარი თავისუფალი ქცევაც მოესპობოდათ. ამ გვარნი პირნი ცოტანი იყვნენ და ყველანი იცოდნენ კიდეც ვინც იყვნენ....

თუმცა ამ გვარნი პირნი ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ ამათ დავით ბატონის შვილი თავიანთკენ მიაქციეს. ლაზარევის ჩუმათ იმან დაიწყო წართმევა ზოგიერთის მამულის და ბოძება იმათი, ვისაც სწყალობდა. მარიამ დედოფალმა უჩიელა ლაზარევთან თავისს გერსა, რომ იმისის ბრძანებითა მოურავებს დედოფლის კაცი გაელახათ და იმ მამულებიდამ სადაც დედოფალს შემოსავლის მოსაგროებელათ გაეგზავნა, გამოეგდოთ.

მუხრანის — ბატონის ცოლის დავით ბატონის შვილმა წილკნის საეპისკოპოზო წაართო. შემდეგ სომხის არქიელის

სიკვდილისა იმავ ბატონის შვილმა იმისი დანარჩენი მამული სამს ნაწილათ გაჰყო თავისის ნებითა, ერთი ნაწილი თავისათჳს აილო, მეორე მისცა ერთს თავადის შვილსა და მესამე ნაწილი მონასტერს დაუთმო. ამ გვარმა ბატონის შვილების ქცევამ იქამდისინ მიიყვანა, რომ ყოველს ქართველს სასიხარულოთა ჰქონოდა როცა შეიტყობდნენ ვისმე ბატონის შვილის რუსეთში წასვლასა.„ ხალხნი და ერთგულნი ასეთ რიგი მოხარულნი არიან ბატონის შვილების რუსეთში წასვლისა — მისწერა 18 მარტს 1801 წ. ლაზარევმა კნორინლსა — რომ არ შემიძლიან გამოვთქვა და ზოგნიერთნი თითქმის ხმამაღლივ იძახიან რომ ხელმწიფის დიდი მოწყალება იქნებაო, რომ სულერთიან გადაასახლოს აქედამაო.

დავით ბატონის შვილმა მაინც თავი არ დაანება საიდუმლოთ საქმის წარმოებასა. თავადის შვილებს ეუბნებოდა ამ ახალის მართებლობის მართვაში მისწერეთ იმპერატორსაო, რომე თუ გსურთ მე თქვენს მეფეთ ვიქნებიო. რომ მიემხრო თავისაკენ ხალხი დავითმა დროებითი განგებლობა საქართველოსი თავისის სასარგებლოთ იხმარა, მრავალთ დაურიგა მამულები, რომლებიც ბატონისშვილებისა იყო, რადგან ის ბატონის შვილები იმერეთს იყვნენ წასულები. თუ რომ თავისის სურვილს ვერ აღასრულებდა, აპირებდა მთაში გაქცევასა და ამისათჳს ლეკების სიამოვნესა ცდილობდა და თავისს საკუთარს ნივთებს იმათ საჩუქრათურიგებდა.

დავით ბატონის შვილს ამ გვარი მოქმედება რომ

გაუგეს და უსაყვედურეს, იმან მაშინ გადაჰფიცა, რომ მე მაგ გვარი არა მიქმნიარარა. გარს შემოიხვია ყმაწვილი ბიჭები ანუ კაცები, რომელნიც არც პატივის საცემნი იყვნენ და არც საზოგადოებაში ხმა და პატივი ჰქონდათ. იმათის რჩევით მოქმედებდა და შხირად შემცდარი იქმნებოდ ხოლმე და ამითი ქართველებს თავს აძულებდა. ჯერ კიდევ მეფობას ეძიებდა მაგრამ იმედი ამაზედ კი ცოტაღა ჰქონდა, დავით დაღონდა, დაფიქრდა, ხმა ამოუღებელი და ფარული შეიქმნა. კარგათ ხედავდა რომ თავისი აზრი და მოლოდინი არ უსრულდებოდა და საქმე სხუა რიგათ მიდიოდა და არა ისე, როგორც ეგონა...

დავითმა რამდენჯერმე უთხრა ლაზარევსა, რუსეთის მმართებლობა განსვენებულის მეფის გიორგის თხოვნის წინაღმდეგათ მოქმედებსო; და თუ ვინიცობაა იულონს დაამტკიცებენ მეფეთა მე ოსმალში წავალო. იმისმა დაახლოვებულთ რომ ნახეს იმათი მმართებლობა დიდის ხნისა აღარ იყო და რადგან დავითიც დაუდევნარი და სიმხიარულის და სიტკბოების მოყუარე იყო, ამისათჳს იმათ ეს დრო მოიხმარეს საცარცვავათა და თავიანთის ჯარების ასავსებათა.

„რიგიანი ხალხნი კი, მოახსენა ლაზარევმა — ყველანი მოუთმენელათ იმას ელიან რომ რუსეთის წესი დაიდეას?

პეტერბურღის კაბინეტიც ამას ცდილობდა.

იმპერატორი პავლე საქართველოს რუსეთთან რომ აერთებდა, დაჰპირდა საქართველოს ხალხსა ყოველივე

უფლება, უშვრობესობა, სრულებით დაცუა საკუთრებისა და დაფარვა გარეგანის მტრის დაცემისაგან და შინაურის უწესოებისაგან.

იმ უკანასკნელის პირობის აღსასრულებლად საჭირო იყო რომ უთუოთ საქართუელოში რუსეთის ჯარები შემოსულ იყო. მარტო ქართველების იმედით ყოფნა არ შეიძლებოდა, თუმცა ისინი, რომელნიც საქართუელოს სამეფოს უპირატესნი პირნი იყვნენ ისინი არწმუნებდნენ რომ 50000 კაცის მოგროება შეიძლებაო. ჯარითაო, მაგრამ ეს რიცხვი მეტის მეტად მომატებული იყო. მაშინდელს საქართუელოს შინაურს უწესოებაში და აღრეულებაში, მეფე ამისს მესამედსაც ვერ შეჰკრეფდა ჯარათა. მართალი არის, თუმცა ძილიან ბევრნი თავადის შვლები იყვნენ კარგნი ცხენოსანნი და ვაჟკაცნი, მაგრამ ქართელის ქვეითი ანუ ფეხის ჯარი, რომელიც იყო შედგენილი გლეხთაგან, სრულებით არ ვარგოდა, გარდა თუშებისა, ფშაველებისა და ხევსურებისა, რომლებიც არიან მთის ხალხნი. ამასთან სულ ერთიან ეს ჯარი ასეთ რიგათ, შეშინებულები იყვნენ, რომ რაც უნდა ულონო მტერი დახვედროდათ მაინც შეშინდებოდათ და გაექცეოდნენ.

ამ ყოველის მიზეზებისგამო საჭირო იყო საქართუელოში რუსის ჯარების მოყუანა. მინამ განკარგულებას მოახდენდნენ ჯარების ბინიდამ დაძვრაზედ, საჭირო იყო რომ იმათთჳს სურსათი მომზადებულიყო. ამისი აღსრულება მაშინდელს

საქართველოს გამგებლობაში სრულებით შესაძლისი არ იყო; ამისათჳს საჭიროებამ მოითხოვა რომ პირველათ განგებლობა დაწესებულიყო. ამისი დამაშურებელი მიზეზი უფრო ისიც იყო, რომ ლაზარევი იწერებოდა „ეხლა ყველანი იმას ეშურებიან რომ გაცარცვონ და ვერას გზით ამას ვერ შევაყენებ...“ უთუოთ საჭირო არის, მისწერა ლაზარევმა მეორეთ, რომ მალე გაიმართოს ჩვენი წესი, მეშინიან უამისოთ ხალხს არა აწყინონ რა. მანიფესტის სიტყვებით ყველანი დაიცვენ თავისს საკუთრებას, რომელიც კანონიერათ იმათ ეკუთვნისთ“ აქაური უზდელი ხალხი სხვა . რიგათ ასმენდნენ, რომ ვითომ ხელმწიფეს ხალხი სრულებით ყოველის ხარჯისაგან გაენთავისუფლებინოს და არარაფერს ხარჯს, ბეგარას მოსთხოვდნენ...

„... მგონია რომ ძალიან საჭირო არის მალე დაფიცება, როგორც მაგარი საფუძველი და მეორეც რომ წესდებულება, ამისათჳს რომ ეხლა არავინ არაფერი იცის და მრავალს ისეთს მოქმედებენ რომ არ უნდა იყოს ისე.“ რომელთაც შემოსავალიდამ ნაწილი ჰქონდათ და ეხლა მოესპოთ, ბეზღიობდნენ და ცილსა სწამებდნენ რომ აქაურის ჩვეულების გვარათ რომ მიელოთ ნაწილი ხიზლაურის ჯარიმისა. ბატონის შჳლებიც არა სცხრებოდნენ და ხალხს აკლებინებდნენ და აცარცვინებდნენ რადგან სურდათ რომ სულ ერთიან ბატონისშჳლები იმათთჳს მოემორებინათ და აგრეთვე დარია დედოფალიცა, რადგან ის იყო საფუძ-

ეელი ყოველის ბოროტ მოქმედებისა.“
ამ ქუეყნის მდგომარეობა ისეთ რიგი იყო, რომ ყოველს მოწინაალმდეგეს ადვილათ შეეძლო მღვრიე წყალში თევზის დაჭერა. მრავალი ქართველები რომლებიც იყვნენ დაყენებულები ხალხის გამგეთ, თავიანთის მოქმედებით უბედურებას უმატებდნენ. თითონ იმათ მოჰყავდათ გასაცარცვავად ლეკები, გზას უჩუენებდნენ და ეუბნებოდნენ კიდეც ქუეყნის მდგომარეობას. არარაფერი მმართებლობა აღარ იყო „საქართუელოსაც თავი დაანებეს და რუსულსაც ვერ მიეჩვიენ..“ „დიდად საჭირო არის—მისწერა ლაზარევმა, გარდაწყვეტილი დებულება მიეცესთ, იმისათვს რომ ყველამ იცოდნენ რა რიგათ იქცეოდნენ და მინამდისინჯი ცალის მხრით ეშინიანთ და მეორეს მხრით იმედოვნებენ. ვინც რომ უფრო გონიერნი არიან, იმათ თუმცა ეყურებათ, მაგრამ ვითომ არ ესმით ისე ეჩვენებოდნენ, და ვინც რომ უფრო უგუნურნი არიან იმათ არა ეყურებათრა თუმცა ბევრს ველაპარაკები.“

რუსეთის მმართებლობაც რომელსაც ცნობა ჰქონდა ძალიან ნაკლულევანი იყო ყოველის ფრით. ამ გვარმა ნაკლულევანებამ მრავალში ანდეზედ ანუ ჰალალბედზედ ამოქმედა, როგორც ბნელაში ეძებდეს რასმე, რომ ქუეყნის მდგომარეობა არ იცოდა და რუსეთის წესდებულებას აჩემებდა. სენატის უკაზით 6 მარტს 1801 წ. მრთელი საქართუელო ერთ რუსეთის გუბერნიათ დაიდვა და ამ

გვარათ შეერთდა რუსეთთანა.

ეხლანდელის ზაკავკაზიის სამფლობელოს შუაგული, საქართველო იმიჯნებოდა ჩრდილოეთით კავკაზიის მთებითა; დასავლეთით იმერეთითა, რომლისაგანაც იყრებოდა ხოპის მინდერითა, და ახალციხის ფაშალიკის მხრით მთებით, რომლებიც იწყება თავსრნიდამ ახბაბამდისინ; სამხრეთით ყარსის ფაშალიკი იყრებოდა მდინარე არფაჩაითი და ერევნის სახანო გოგჩის ტბითა. აღმოსავლეთით მდინარე ჯალორი ჰყოფდა საქართველოს განჯის სახანოდამ და მდინარე ალაზანი ჭარ ბელექნიდამა.

ეს რუსეთთან შეერთებული ქვეყანა შეადგენდა ქართლსა და კახეთსა, რომელთაც განჰყოფს მდინარე არაგვი. მაშინ ქართლში ირიცხებოდა **1682** სოფელი და დაბა, კახეთში **324**; უმეტესი ნაწილი ამათი სულ აკლებული იყო. ქართლი იყოფოდა ზემოზედ, შუაზედ, საქართველოზედ და სომხითზედ (რომელიც შეადგენდა თრიალეთს და ბორჩალოსა,) ყაზახი, შამშადილი, ბამბაკი და შურაღელი, ხევსურეთი, ფშაველეთი, თუშეთი და ოსეთი, აგრეთვე საქართველოს შეადგენდა სივრცე მისი (საქართველოსი) **280** ვერსტზედ მეტი არა იყო აღმოსავლეთით დასავლეთამდისინა და **300** ვერსტი ჩრდილოთ სამხრითამდისინა. ხალხის სიმრავლე **160,00** სულამდინ იყო.

საქართველომ ახალის მდგომარეობისგამო, რადგან შეადგენდა რუსეთის ნაწილსა, მიიღო ახალი გამიჯვენა.

მდინარე იორმა გაჰყო ორ ნაწილათა: ქართლათ და კახეთათ. ქართლში სადუბერნიო ქალაქათ დაინიშნა ტფილისი, რომელიც მასთან დაინიშნა მთელის საქართველოს სადუბერნიო ქალაქათ; კახეთში ქალაქი თელავი. ქართლში დაინიშნა ექვსი ქალაქი მაზრებითა: ტფილისი, დუშეთი, გორი, სურამი, ლორი და კაიკული [?]; კახეთში ორი ქალაქი, თელავი და სიღნაღი. ამ ქალაქებზედ იყო მიწერილი რამდენიმე სოფლები, რომლებიც შეადგენდა მაზრებსა. დანარჩენი ქალაქები რომლებიც იყო საქართველოში მისს რუსეთთან შეერთებამდისინა დარჩა ისევ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იყვნენ.

(შემდეგი იქნება.)

## ცხოვრება

## მეფის გიორგის მეათცამეტისა

### 1

გიორგი, პირმშო ძე მეფისა ირაკლი მეორისა; დაიბადა ქალაქს თბილის 1746 წელსა ნოემბრის 10 დღე'ა, რომელსაცა ქართჳელთა ეკკლესია დღესასწაულობს წმინდისა გიორგისსა სასწაულთა.

დედა მისი ანნა, ასული თავადის ზაალ აბაშიძისა, რომელიცა შეირთო მეფემა ირაკლიმ 1745, შემდეგ განდევნისა პირჳელისა ცოლისა ქეთევან ვახტანგ ყაფლანის-შჳლის ასულისა (1) ანნასაგან დედოფლისა ჰყჳანდნენ ირაკლისა ძე გიორგი და ასული თამარ. 6 დეკ. 1749 წელსა გარდაიცჳალა დედოფალი ანნა და დასაფლავდა მცხეთას.

### 2

პაპამან მისმან თეიმურაზ, დღე შობისა მისისა გარდაიხადა დღესასწაულობითა: აუწყა ეპისტოლებითა იმერეთისა

მეფესა და მთავართა; კახეთისა და ქართლისა თავადთა, კათოლიკოზთა და მღჳდელთ-მთავართა; მიანიჭა საჩუქარნი მრავალნი გლახაკთა, ობოლთა და ქჳრივთა, მიეცა მრავალთა პყრობილთა მიტევება ბრალთა; მეუდაბნოეთა წარუგზანეს ნუგეშინის ცემითნი საძმოდ ბოძებანი და მეგობარი თჳსი და მახლობელი საბანინო-წმინდელი მოუწოდა თბილისად, რათა ექმნას მიმქმელად წმინდისა ემბაზიდამ მეფისა ყრმასა გიორგის. — მასვე დროსა აცნობეს მეზობელთა ხანთა და წარუვლინეს სპარსეთის ყაენსა ნადირ-შაჰს დესპანად თურქისტანიშვლი დავით და იბრაიმ ალა ბორჩალოელი სულთანი, ერთ-გული თეიმურაზისა. გარნა პასუხი და საჩუქარი მოართჳეს არა ნადირ შაჰისი, რომელიცა მომკჳდარიყო, არამედ გაყაენებულისა შემდეგ მისა ალიყული-ხანადილ შაჰისა. ესრეთნივე ეპისტოლენი და ძღჳენნი წარუვლინეს ოთხთა მართლ-მადიდებელთა პატრიარხთა, სინასა და ათონისა მთათა წინამძღჳართა; ენა ხალხისა განმხიარულებულისა შეიქმნა საწერელი მწიგნობრისა კელოვნისა· დროთა ჩჳეულობისაგამო მოლექსენი უძღჳნიდნენ ლექსთა ქებითთა; მეცნიერნი, სიტყჳათა წყობითთა კატეღორიისა მებრთა ზედა აღშენებულთა, სხოლასტიკოსთა წესითა; მქადაგებელნი ქადაგებათა; მეუდაბნოენი ლოცჳათა; მემხოლოენი კურთხევითთა ქარტათა.

## 3.

შემდეგ ცხრისა დღისა ე. ი. 19 ნოემბერსა, დღესა წმ. ილარიონ ქართჳელისა, ნათელჰსცა მას კათოლიკოზმან ანტონი პირჳელმან და მიმქმელად იყო არქიეპისკოპოსი საბანინო-წმინდელი, ამასვე დღესა აღყჳანილი მეფისაგან მიტროპოლიტობისა ხარისხსა. წესი ემბაზითგან აღმოშობისა აღსრულდა არა სასახლესა შინა, არცა სახლის წმინდისა კუართისა ეკკლესიასა შინა, არამედ მცირესა ეკკლესიასა წმინდისა გიორგისა, აღშენებულსა სჳმონ ზანიშინისაგან, რომელიცა იყო ძმა ვახტანგ მეფისა და რომელმანცა დაჰსდჳა სასახლისა ეკკლესიად თჳთ მეფისა გიორგი მეათცამეტისა.

ცხოვრებისა მისისა წელსა მეოთხესა მიუჩინეს მას ლალად თავადი კახეთისა სჳმონ მაყაშვილი და ქართლიდამ როინ ბარათაშვილი, რომელიცა მალე გარდაიცვალა და გარდა სჳმონ მაყაშვილისა არღა ვინ დაუშთა ყრმასა ჯერეთ, გიორგის. ქართულისა ან-ბანის მასწავლებელად ჰყვა ისაკ მწიგნობარი, რომელიცა იყო შემდეგ კანდელაკი სიონისა საუფლოჲსა ეკკლესიისა და აღმწერელი ხუცურად მრავალთა წერილთ, მეცნიერი და მცოდნე ძჳელისა, ვითარცა იტყოდნენ, ფილოსოფიისა. თათრული ენა ისწავლა კარისა მოკელეთაგან და სომხური სომეხთა მღჳდლის ტერ-დავითას-შვილისაგან შაიკოვისა და ყაითმაზა შვილისაგან. ბერძულისა ენისა მასწავლებელად იყო თეოდორე ეპისკოპოსი ბერძენი, მცხეთას ყოფილი

კათოლიკოზისა კარზედ: გარნა ვერ სრულ ჰყო სიკუდილისა გამო მასწავლებელისა და დროთა გარემოებათაგამო. მასწავებელად ქართულისა ენისა მიუჩინეს მყოფსა ძესა მეშვიდესა ცხოვრებისა მისისა წელსა დეკანოზი იოანე. **1751** წელსა მოვიდა იერუსალიმით, დროებით მუნ წარსრული დეკანოზი ესე იოანე, ძე გარსევანისა დეკანოზისავე მოძღუარის შვილად გუარ-წოდებული. ესე იყო კაცი განსწავლული, დიდი მწიგნობარი, მწერალი წიგნთა და მცოდნე დროთა მათ, ფილოსოფიისა და რომლის მეტყუელებისა ძუელადგან ქართუელთა შორის ნაქონთა. პატრიარქისაგან იერუსალიმისა ქებითისა წერილითა მოსრული ევედრა კათოლიკოზსა ანტონის პირუელსა, რათა მიუბოძოს მას ადგილი დეკანოზობის ჯუარისა ეკკლესიისა, იერუსალიმისა ჯუარის-მამათა სადგურსა. კათოლიკოზმან ანტონი ამისთჳს უბოძა მას გრამატა შემდეგი:

(ბეჭედი საკათალიკოზო კატითა)

„ჩუენ ყოველისა საქართუელოჲსა დიდმან მწყემსთმთავარმან; მაღალთა მეფეთა შარავანდედმან, კათოლიკოზმან პატრიარქმან ძემან ქართუელთა მეფისა იესესმან, პატრონმან ანტონიმ. ესე უკუე ჟამთა, ხანთა და დროთა, გამოსადეგი სამკჳდრო და საბოლოვო წყალობის წიგნი, და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ ჯუარის მამის მონასტრის დეკანოზს იოანეს, ასე და ამას პირსა ზედან, შენ უსარჩოობას და უსამწყსოობასა

ჰსჩიოდით. მოხუცდით კარსა, დარბაზ პალატისა ჩუენისას და სამწყსოს ბოძებასა დაგვეაჯენით; აწ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, ვიგულეთ და ვიგულს-მოდგინეთ ვითარ უსარჩოეთ, და უსამწყსოეთ იყავ, ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქალაქში ვინცა ვინ-უხუცოესი და მოსული კაცი იყოს, ან უხუცურომ სხუას მღუდელს არ ეხუცებინოს. და მისსა რა გაევლოს, შენთჳს წყალობა გვქმნია და გვბოძებია. ჰსჯულიერის წესით ჰმწყსიდე და ასწავებდე. და ამას გარდა შენის სახლის ხუცობაც შენთჳსვე გვბოძებია, და წყალობა გვქმნია, არა ოდეს ამის მოცილე და მოდავე არავინა გყუანდეს თჳნიერ ღუთისა მეტი. აწე ესე ჩუენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა დიდათ ერთ გულობასამინა. არ მოგეშალოს არცა სხუათა მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა, დედოფალთა. და უფლის წულთაგან, არცა დიდთა და არცა მცირეთაგან. და რომელმანცა ამის დაშლად და დაქცევად ჴელ-ჰყოს, ჩუენთა კანონთა ქუეშე განიკანონოს. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს. აწ მემდგომად ჩუენისა თქუენცა ყოვლად-სანატრელნო კათოლიკოზ-პატრიარხნო, თქუენცა ასევე დაამტკიცეთ და გაურიგეთ, რათა თქუენგანცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან ყოველივე მტკიცე და უნაკლულჰყოს., არიან ამისი მოწამენი და მკედუელნი, და ნების დამრთუელნი ერთობით მცხეთელნი. დაიწერა ინდიქტიონსა კათოლიკოზ-პატრიარქობისა ჩუენისა. თ. ქრისტეს

განკორციელებითგან ვიდრე აქამომდე წელნი გარდასრულ-იყუნეს ჩღნბ. ქორონიკონსა უმ. თუესა დეკემბერსა ია. კელის კარისა ჩუენისა მღუდელ-მდიკან-ქადაგ მალალაძის ნიკოლო-ზისათა., დასაბამიდგან ვიდრე აქამომდე წელნი გარდასრულ-იყუნენ შჳდი ათას ორას სამოცი, კ'ჲ.»

„ქ. ჩუენ საქართუელოს კათოლიკოზ-პატრიარხი იოსებ ვამტკიცებ წიგნსა ამას. ქ ჩუენ თფილელი მიტრაპოლიტი წმინდათა-პატრიარხთ რაბოძებით წიგნს ვამტკიცებთ.»

ესე იოანე პირუელ სხუათა იყო მოძღუარი ირაკლისა, მეორე და დედოფლისა დარეჯანისა. ამას ჰყუანდა ქალი ერთი და რადგანაც ძმისწულნი ჰყუნდნენ მრავლად, დედოფალი ექმნებოდა მომნათლუელი შჳლთა მისთა. კათოლიკოზი ანტონი პირუელი იყოლიებდა მას ვითარცა მეგობარსა და თჳსთანა მარადის თანა მზრახუელად.

ამა დღიდგან იყო პატივცემულად მიღებული ყოველგან და მოძღურად თჳთ კათოლიკოზისა და მისისა კრებულისა ქ. თფილისსა მყოფობისა მათისა დროსა. ვითარცა მღუდელი განკრძალული ცხოვრებითა და მოხუცი ბრძენი და მკნე გონებითა, ექმნა მოძღურად კათოლიკოზსა იოსებს და მთავარ-ეპისკოპოსსა კირილეს, მეფეს ძე გიორგი დიდად პატივს ჰსცემდა მას, ვითარცა მორწმუნე სასოებით აევედრებდა თავსა თჳსსა ლოცუათა მისთა. გარდაიცუალა ღრმად მოხუცი

**1782** წელსა და დასაფლავდა მასვე ჯუარის ეკლესიასა.

**4**

ჯერეთ ყრმასა მეფის ძესა, უყუარდა დიდათ და ტრფიალებით კითხუა მსოფლიოთა მამათა ცხორებისა; — იცოდა ზეპირად საქმენი და ღუაწლნი წმინდა მარტჳლთა მეუდაბნოეთა, მღუდელთ მთავართა და ეს ვითართა დიდთა ეკლესიისა სუეტთა. დიდიდის დაწულილებითა ესმოდა ღუთის მეტყუელება მართლ მადიდებლობისა, ისტორია ქართუელთა ე. ი. ქართლის ცხოვრება უწყოდა რეცა ზეპირად.

დიდათ ეტრფოდა მოლექსეთა ძუელთა და ახალთა. ცხოვრებითა ნაზი, განკრძალული, ჭეშმარიტი, უტყუელი, სიტყუა დაცული; ზნეობითა ზრდილი მაღლად მეფურად, მოწყალე, უხვ, მდაბალი, ობოლთა და გლახაკთა შემწყალებელი, პურადი; არა წმინდებისა მოძული; სიწმინდისა დამცუელი, ვითარცა მეუდაბნოე, ქრისტეს მოყუარე, ეკლესიათა მოყუარე, სამღუდელოთა პატივის მცემელი, უცხოთა შემწყნარებელი, მეტადრე ბერძენთა მართლ მადიდებელთა თურქთაგან დამონებულთ და შეიწრებულთა; დღე ყოველ ცისკრისა, წირვსა და მწუხრისა მომსმენი დაუზარებელი; უკურთხებელ სუფრისა არა მიმრთმევი, არცა სადილისა, არცა

ვახშმისა.

ჯერეთ რვსა წლისა, ძუელთა დროთა ჩუეულებისაგამო, დანიშნეს ჩერქეზ ბატონის ერეეი ოძისა ქალზედ, რომელიცა ახლდა მეფეს ირაკლის თჳსთან, ვითარცა მეგობარი. განსასწავლებელად ქალისა, წარუვლინეს მას თავადი შარიდან შალიკაშვლი, 6 მოახლე ქალი და ჳ აზნაურ შვლის ქულივძისა ქურიცი ნინო სოფლისა კავთიხევიდგან, დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვთა და ბრძენი ჭკუითა. დიდი ცხენოსანი იყო, ბრძანებდა სადმე თვით მეფე გიორგი, და გულლოენობისათჳს მისისა დიდად პატივსცემდენ მას სასახლეშიო.

ქალი ესე ჩერქეზთა, დანიშნული გიორგიზედ, შემგომად ოთხისა წლისა მზადებისა, ჯერეთ მოუნათლავი, მოკუდა ყუავილისა სენითა სამშობლოსა თჳსსა სახლსა, და უკუქცეული ნინა შედგა მონაზონად და მწუხარე თვთცა მოკუდა სამღუდელთამთავროსა მროველისა ეკკლესიისა კარზედ, სოფელს რუისს.

5

**14** წლისამ მიმოელო საქართუელო: ქართლი, კახეთი, სომხითი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი და იხილა მას დროს გამგე სომეხთა ეკკლესიისა ორქევარტერი ანუ კათალიკოზი,

იაკობ მეხუთესა (1759—1763) ეგრეთუე, მეფეთა ამა-
სვე დროსა მოხარკენი განჯისა და ერევნისა ხანნი.

განყოფილი ძუელად საქართუელო ორ სამეფოდ ე. ი. ქართლად და კახეთად დროთაგან ნადირ-შაისა, იქმნა რეცა შეერთებულად, ოდეს გამეფდენ კახეთსა ირაკლი და ქართლსა მამა მისი თეიმურაზ. გარნა კახეთისა ირაკლი იწოდებოდა არა მეფედ, არამედ კახ-ბატონად და ქართლისა მეფედ. ოდეს, დროთა გარემოებათაგამო წარვიდა რუსეთად [1760წ. მეფე თეიმურაზ, მაშინ მეფისა ძესა გიორგის, ვითარცა შვილის-შვილსა უბოძა სკიპტრა ქართლისა მეფობისა, გარე მოსდვა მას თვსი სამეფო კრმალი, დაჰკიდა მას ძალი მორწმუნეთა ჯუარი ძელჭეშმარიტითა მოცმული, ოქროსა ჯაჭვთა საკიდარი და თუალი მარგალიტითა შემკული, მცხეთისა ეკკლესიასა შინა, თანა დასწრებითა იოსებ კათოლიკოზისა და ეპისკოპოზთა, თავადთა, აზნაურთა და კარის კაცთა; აკურთხა იგი ღუთის მშობლისა მცირედითა შემკულითა ხატითა (დღეს მე მაქუს ესე] და კურთხევითითა სიტყვთა, და ცრემლითა გამოეთხოვა შვილსა ირაკლის, შვილის-შვილსა გიორგის და სხუათაცა სახლისა თვსისა წევრთა და წარვიდა დუშეთისა აწინდელისა გზით რუსეთად.

სანკტ-პეტერ-ბურღის სინოდისა არხივიდამ (1760 წლისა საქმე, ნომ. 202] ჰსჩანს, რომელ მეფესა თეიმურაზსა მეორეს მიჰყუა რუსეთსა ეპისკოპოზი იოანე რუსთუელი და ამისსა ამალაში (სვტაში) იყუნენ დეკანოზი დიმიტრი და

სჳმეონ, მღუდელი ამბროსი, იერო-დიაკონნი პართენი და შიო; და მორჩილი აბრაამ. მასვე დროსა მივიდა მასთანვე წილნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე,-რომელსა თანა ჰყუა ბოდორნისა არხიმანდრიტი ფილიპე.. — მეფე და ეპისკოპოსნი დასადგურდნენ ნევსკისა მონასტრისა ქვთკირისა პალატებში. ოდეს იქმნა კრება, იდუმალ. განლათინებულისა კათოლიკოზ პატრიარქისა ანტონისა, სამჵსჯავროდ მიცემულისა, მაშინ კრებისა განჩინებასა ზედა დასდუას ბეჭედიცა 9 წლისა ყმისა მეფისძის გიორგისა. ჯერეთ ყრმამან დღიდგან განდევნისა მისისა რუსეთად (1756 წ. 4 აპრილსა] და დანიშნისა მოადგილედ მისა იოსებ მროველისა. (2) მეიძაგა ანტონი პირუთლი, და თუმცა მამასა მისისა ნებითა უკუ-მოქცეულცა იქმნა თჳსსა ქუეყანად და პატივად, გარნა არა უყუარდა იგი, ვერ იყო კეთილ განწყობილი მასთან დღედმდე გარდაცვალებისა მისისა.

6

1767 წელსა შეირთო ცოლად ქეთევან ქალი პაპუნა ქიზიყის მოურავისა ანდრონიკას შვილისა 13 წლისა. ქორწილი გარდაიხადეს ქალაქსა თფილისსა დიდისა დღესასწაულობითა ენკენის თჳს 20. იტყვან ქალისა ამისთჳს რომელ, ოდეს მეფის ძე გიორგი მივიდა კახეთსა და ეწჳა სოფელსა ვეჯინსა ანდრონიკა შვილსა რევაზს, მაშინ მოხდა

დევნა ლეკთა, რომელნიცა გამოჩნდნენ ალაზნისა გაღმა, რევაზ და სხუანი, თანა დამსწრენი ომისა ლეკებთა თანა, ესრეთ მხნედ გამოჩნდნენ, რომელ მეფის ძე თჳთ, მუნ დამსწრე გაჰკჳრდა, ოდეს იხილა რევაზ ანდრონიკაშვილი მუხლსა მძიმედ დაჭრილი მოვიდა რა სახლსა, მაშინ გამოაცხადა დაჭრილობა თჳსი· განკჳრვებულმან მეფის ძემან გამოუცხადა მას გმირსა რევაზს სურვილი დისა მისა ქეთევანისა შერთუა ცოლად, დროსა ამას, ქალსა ამას არღა ჰყუანდა მამა ცოცხალი. ამბავსა მისსა მოუთხრობდა ხშირად აზნაური ბერო პავლია-შვლი, რომლისათჳსცა დავჰსწერე და დავბეჭდეცა სიტყუა გარდაცვალებისა გამო მისისა, ვითარცა რედაკტორმან გაზეთისა. (3].

18 წლიდამ ცხოვრებისა თანა ჰყვა მამასა თჳსსა, სადაცა წარვიდის ანუ საომრად ანუ მოსახილუელად სამძღუართა. 1770 წ. იყო ასპინძისა ომში და დიდად უსიამოვნოდ მოექცა რუსეთისა ღენერალსა ტოტლებენსა, ოდეს არა ინება შებმოდა ოსმალისა ჯარსა, და გაიმარჯუა ომსა ამას თჳთ მეფემან ირაკლი თავისისა ჯარითა.

„ღენერალო! სირცხჳლია ამისთანას დროსა ღალატი მეფისა, ჰრქუა მეფის ძემან. — არა მაქუს ბრძანება, უპასუხა ღენერალმან იმპერატრიცისა რომ შევება ჯარითა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ. — მაგითი, ღენერალო, არცხუენთ რუსეთისა ჯარსა, ეტყოდა მეფის ძე გიორგი, და უტეხ სახელსა დიდსა რუსეთსა. — ღმერთი ჩუენკენ იქნება

ჩუენ შევებმით, გავიმარჯუებთ და მოუახსენებთ იმპერატრიცასა მისსა სიმხდალესა„.

მამასა ირაკლის მოახსენეს ესე საუბარი მეფის ძისა ღენერალისადმი, არ მოიწონა ზდილობითა ესე და უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა სამხედროთა ერიდებოდა რუსეთისა წყენასა, კუალადცა საიმედოს ქრისტიანობისა გამო. იტყვან მტერნი მეფის ძის გიორგისა, არ მიაშუელა ჯარი 900 კაცისა მამასაო. რაზედ აფუძნებენ თქუმულობასა ამას? არ ვიცი. დროსა ამას ასპინძის ომისსა ჯერეთ არ იყო შფოთი მეფისა ირაკლისა სახლში და არცა ძმანი მისნი, დედის ნაცულისაგან შობილნი, იყუნენ სრულსა ჰასაკსა მოსულნი. ერთობა მეფისა სახლისა იყო მტკიცედ დამყარებული სიყუარულისა, ერთისა მეორისადმი, ერთობითა.

მეორესა დღესა, მიმავალმან საქართუელოდამ იმერეთისა ბაღდადისა გზით ღენერალმან ტოტლებენმან ჰსცნო დიდი გამარჯუება ირაკლისა ოსმალისა ჯარზედ, და მართლად სირცხვილეული, დაეშურა და მალე გარდაევლო მთა, და გარდავიდა იმერეთსა. მეფის ძემან თვით ითხოვა მეფისაგან ნება, რათა წარავლინოს რუსეთად და მისისა ელჩობითა მოახსენოს ყოველივე საქმე საქართუელოჲსა დიდსა იმპერატრიცასა. მეფემან არა ინება ესე და ნაცულად მისსა წარავლინა სხუანი,

## 7

ვიტყჳ კუალად ქეთევანისათჳს. ესე ქეთევან იყო თჳთ იგი, რომელიცა მიმავალმან ქართლად 300 ცხენოსნითა ღართის კარისა ვიწროებში, ჰქმნა სახელოვანი ძლევა ლეკთა ზედა, რომელნიცა იყუნენ ხუთასნი. თჳთ მიუძღუა ჯარსა და გატეხა სამგზის გამაგრებულნი ლეკნი. უკუ-ქცეული შემდგომად თჳსა ერთისა, მუხრანით, მიიღო ირაკლი-მან გმირი რძალი თჳსი ქ. ტფილისს დიდისა დღე-სასწაულობითა, ზარბაზანთა ციხიდამ და ჩირაღითა. ესე იყო 1778 წ. მეფის რძალსა ამას ესხუნეს შვილნი.

ძ ე ნ ი: დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ. ა ს უ ლ ნ ი: ბარბარე, სოფიო. ნინო, რიფსიმე, გაიანე. 3 — ივნისა 1782 წელსა მშობიერობისა გამო თეიმურაზზედ, მეფისა რძალი ქეთევან, გარდაიცვალა და დასაფლავდა დავით გარე-სჯისა მონასტერსა იოანე მახარებელისა დიდსა ეკკლესიაში წინაშე ალსავლისა კარისა, მუნ სადაცა მარხია ალექსანდრე მეფე კახეთისა (4) მუნვე .მონასტერსა. ბერად შემდგარი და გარდა ცვალებული. მეფემან ირაკლი, მწუხარემან სიკვდილისა-გამო რძლისა თჳსისა, წარსთქუა ოხურითა შემდეგი სიტყუა: „ა ხ ლ ა დ ა ი ლ უ პ ა ჩ ე მ ი ო ჯ ა ხ ი ო". გამიგონია თჳთ მეფის ძის თეიმურაზისაგან: „მომაკუდავმან დედამან ჩემმან

ჰქმნა სიტყვთი ანდერძი, — ვეცხლეული თჳსი წარუვლინონ იერუსალიმისა პატრიარქსა მოსახსენებელად, და აღასრულესცა ესე " — ესრეთ მტკიცედ იყო და განთესული საყოველთაოდ, სასოება იერუსალიმსაზედა ქართუელთა შორის! მუქი ნათლისა ღუთისა ქალაქით მნათობდა მეფეთა სახლსა შინა და გლეხთა ფაცხათა. ლექსი „იერუსალიმი" მზე მზეობდა ქართუელთა ერისა გულთა და გონებათა შინა.

8

დიდად დღესასწაულობათა იყო დასაფლავება გუამისა ამის ღირსისა, სანატრელისა სამეფოჲსა სახლისათჳს და სასიქადულო ქართუელთა ერისათჳს. — მეფის ძემან ინება დასაფლავება გუამისა დავით-გარესჯისა მონასტერსა, თთუე იყო იენისისა. მწუხარებისა კმამან შეჰსძრა თებაიდა ქართუელთა. ნინო-წმინდელი საბა, ბაირაყითა თჳსითა და დრომითა, ჲაკო რუსთუელი და დანიილ ბოდბელ-მიტრო-პოლიტნი შეერთდენ და მიეგებნენო და ლოცვთა და ვედრებითა ღუთისადმი წინა-რუს (აწ თაქლა), სადაცა იწყება სივრცე და სიგანე თებაითისა ანუ გარესჯისა უდაბნოთა სადგური. 1000 ცხენოსანი და 500 ქუეითნი მიუძღო-დენ მიცუალებულსა: ხამში, ნინო-წმინდა და ბოდბე ეკლესიისა სოფელნი და ყმანი უმასპინძლებდნენ მიმავალთა უდაბნოდ პურით, ღვინითა, საკლავითა, თევზითა და ესე

ვითარითა მოსაკმარითა — ნათლის-ცემლისა უდაბნოსა და დავით — გარესჯისა ლავრისა წინა-მოძღუარნი ონოფრე და სერაპიონ მოეგებნენ შორს მრავალ მთისა ამის კალთებთა, სადაცა ძუელად იყუნენ სამხოლოონი მამათა მეუდაბნოეთა (სკიტნი) კმა ტირილისა, კმა გოდებისა, ვითარცა კმა ლოცვისა ისმოდეს ველთა-ზედა უკმოთა კაცთა თჳს და კმოვანთა მხოლოდ ქურციკთა (ჯეირანი) და პირუტყუთათჳს. ნემტნი, სიკუდილისა და სოფლისა ამისა კრწნილებისა, — მეტყუელებდენ ადგილთა ამათ არა-მეტყუელთა თჳს დანიშნულთა. ენა-მეტყუელი აქა, იყო ენა სოფლისა მის მერმისისა. მეუდაბნოენი არ მნახავნი სიყრმითგან, ქალაქისა და სოფელთა იხილვდნენ აქა მოქალაქობისა მათისა ჩუეულებათა, მათთჳს საოცართა, გაუგებელთა, განუმარტებელთა. სხუაობა სანოვაგეთა მიღებისა, სხუაობა ძილისა მოიყუანდნენ განცვფრებასა შინა მემხოლოეთა მოსულთა აქა, რათა წარიკითხონ წიგნი იგი ამაოებისა; და სიკუდილისა ხედვთა, შეისწავონ სიკუდილი, რომელიცა მიელის თჳთოეულსა მოსაპოვებელად უკუდავებისა გარეთ სოფლისა ამის კრწნილებადისა.

შემდეგ ათისა დღისა, დადუმდა კმა სოფლისა მეშფოთისა, უდაბნოთა ზედა დაწყნარებულთა. ყოველნივე უკუ-იქცნენ თჳსთა სადგურად და დაშთა მუნ მხოლოდ ნეშტი მეფისრძლისა სახსენებლად საუკუნო.

9

მასვე 1782 წელსა მეფის ძემან მეირთო ცოლად ციციშვილის გიორგის ქალი 14 წლისა მარიამ, მშვენიერებითა ქალთა შორის ბრწყინვალე. მეფისა ირაკლისა კურთხევითა დასწერეს ჯვარი არა დღესასწაულობითა, იოანე ნათლისმცემლისა ეკკლესიაში, რომელიცა იყო მეტოქი უდაბნოჲსა თფილისში. ჯვარის წერა იქმნა შემდგომად 40 დღისა და ამისთჳს დიდად ზრახავდნენ მეფის ძესა ესრეთისა დაშურებისა და აჩქარებისათჳს. ყოველგნით ჰგმობდენ უგრძნობელობისათჳს, რომელ დაკარგა ცოლი პირშვენი მკნე და გონიერი, და დამტევებელი ძეთა და ასულთა; და არა იგლოვდა საკმაოდ. სხუანი ამართლებდენ და იტყოდენ: „მეფემანცა თეიმურაზმან, პაპამან მისმან ჰქმნა ესრეთი, ოდესცა მეირთო შემდეგ თამარისა ცოლად ანახანუმ. დედოფალი ამა ქორწინებიდამ ესუნეს მას ძ ე ნ ი : მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, იოსებ, სპირიდონ (ეს ორნი მოკუდენ ყრმად), ოქროპირი, სჳმეონ (მოჰკუდა ყრმად) ირაკლი. ა ს უ ლ ნ ი : თამარ, ანნა 7 წლისა მიიცვალა; ანნა მეორე.

## 10

სიმრავლე ძეთა და ასულთა მეფის ძისა გიორგისა და ესრეთივე სიმრავლე სამთა ცოლთაგან ძეთა და ასულთა მეფისა ირაკლისა, იყო მიზეზი სამეფოჲსა სახლისათჳს კეთილისა და ბოროტისა. ნაყოფი კეთილი ესრეთისა შვილთა სიმრავლისა იყო ესე, რომელ დაშორებული ძუწლად ქართლი და კახეთი შეერთდა უფრო მტკიცედ. სასახლემან მეფისამან მოითხოვა ქართლიდამ რომელიცა უწოდებდა აქამდე მეფესა ირაკლისა კ ა ხ თ-ბ ა ტ ო ნ ს ა, და ა რ ა მ ე ფ ე ს ა, სასძლონი და მეფისა ასულნი, მოიძიებდენ თჳსდა საქმროთა ქართლისა თავადთა სახლთაგან. და მეფისა ირაკლისა ანნა, იყო ცოლი დიმიტრისა ყაფლანი-შვილისა; მეფისასული, და გიორგისა თამარ, მიათხოვეს სარდარსა დავით ორბელიანსა; ქეთევან მეფის, ირაკლის ასული მუხრანის ბატონსა იოანეს, ირაკლის ასული მარიამ დავით ციცი-შვილსა; მეფის-ძის გიორგის ასული სოფიო თარხნის-შვლსა ლუარსაბს, მისივე ქალი რიფსიმე ჩოლოყა-შვლსა დიმიტრის. ესრეთვე მიიყვანეს მეფის-ძეთა ცოლად:

თეიმურაზმან ოთარ ამილახვარისა ქალი ელენე. ფარნაოზმარ ელიზბარ ერისთჳს ასული ანნა.

ესრეთ დაკავშირდა ქართლი და კახეთი ერთობითა თავადთა და სამეფოჲსა სახლისა მძახლობითა და მოყვრო-

ბითა. ამან კავშირმა დაავიწყა ქართლისა მეფისა გუარი დამთენილი რუსეთსა **1724** წლიდამ; ამან ერთობამან ნათესაობითმან მოსპო თქმულობა ქართლისა ერისა: ი რ ა- კ ლ ი მ ა მ ა კ ა ხ ე თ ი ს ა დ ა მ ა მ ი-ნ ა ც უ ა ლ ი ქ ა- რ თ ლ ი ს ა. მეორის მხრითა სიმრავლემან ძეთა და ასუ- ლთა დაბადეს, შური და მტერობა ურთიერთისადმი. დაჰყუეს ოჯახები და დაბადეს ურჩება და მედიდურობა, სახლისა მწევრთა შორის, სადაცა იყოფოდა მეფის ასული რძლად და ანუ რომლისაგანცა წარიყუანდნენ მეფის ძენი ქალთა სასძლოდ თჳსად. თავადნი ესენი, დამოკიდებულნი მოყუ- რობითა მეფეთა თანა, არღა ემორჩილებოდნენ მეფისა მო- კელეთა, რომელნიცა იყუნენ მდივანბეგად, მდივნად, მოუ- რავად, ციხეთა მცუელად და სხუად სამეფოჲსა საქმეთა განმგედ. დასუსტთა ჰაზრი და მნიშუნელობა პირმშობისა; ეცინოდენ მემკვდრეობასა; არა პატივსცემდენ პირუელობასა და თვითოეული წევრი სამეფოჲსა სახლისა ჰგონებდა თავსა თჳსსა მეფობისათჳს გამზადებულად, ჰსჯული არღა ჰსჯუ- ლობდა სამეფოში, სადაცა უფლებდენ მეფის ძენი და კარის კაცნი მათნი.

განმრავლებულთა ძეთა თჳსთა დაუნიშნა საცხოვრებელად და განსაგებელად ადგილნი და თემნი: მეფის ძეს გიორგის ბორჩალო და ყაზახისა ნაწილნი; იულონსა ქსნისა ადგილები (რადგანაც ერის თვანთ მიელოთ ქსანი). ვახტანგსა ანუ ალმასხანხანსა არაგვ და ხხუთა სხუანი ადგილნი. თჳთ

მიზეზი მეფის ძისა ალექსანდრეს ლტოლვლსა სპარსეთად ჯერეთ პირვტლად ჟამისავე თვსა დროსა, იყო ესე, რომელ უბოძა მამამან ირაკლი, საკმაო საცხოვრებელად საუფლისწულო.

ესრეთსა უსწოროსა განწილვასა შეუდგნენ უწესოებანი, შფოთნი და დიდნი ალრეულობანი. მეფის ძე გიორგი, ვითარცა მემკვიდრე, მოშორებული შფოთთა, მიენდობოდა მამისა ნებასა და შორით ხედვდა ძმათა სისუსტისა მიტაცებისათვს მემკვიდრეობისა და ალრეულებათა მათ, რომელნიცა ამწარებდნენ მოხუცსა მამასა, თვთ ირაკლი მოხუცებისაგამო და დედოფლისაგამო დედი ნაცვლისა პირმშოჲსა გიორგისათვს იყოფებოდა მერყეობასა და აგრილებდენ გულსა მისსა გიორგისადმი. ესრეთსა მდგომარეობასა მყოფი მეფის ძე გიორგი დაშორებული ძმათა, ცხოვრებდა ცალკედ და მყუდროდ. ჰმთაგონებითა დედოფლისა და ძეთა მისთა, მეფეცა ირაკლი მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ სიძესა მისსა სარდალსა და სალთ-ხუცესა დავით ყაფლანი შვლსა, თამარისა მეუღლეს, მოუღო მეფემან სალთ ხუცობა და მიუბოძა ესე სიძესა თვსსა მუხრანის ბატონსა იოანეს (5). ესრეთმან მეფისა მოქცევამან მოსწყლო გული მეფის ასულისა თამარისა, რომელიცა მწუხარებისა ელდითა გარდაიცვალა 1786 წ.

(სხვა შემდეგში იქნება).

## საყდრის ახლო თარის დაკვრა სიმღერა. (*)

ტფილისს სამხრეთით მდებარე ძუელი ნასოფლარი წო-დებული ქუემო ნათლუხი, სადაცა სჩანს მტკუდარზე გადაკი-დებული ძუელი ნაშენი, ავს დროთა გამო სიმაგრენი, ციხე, სიძველითა გამაევებულ, რომლისა ქვითკირის შენობის საძირკველზედ არის ახლად აშენებული გალავანი და რამდე-ნიმე ოთახნიი. საშუალს ალაგს ძველივე პატარა ეკკლესია სამრეკლოს გუმბათიან წმინდის დიდის მოწამის ბარბარესი, სასწაულთ მოქმედისა.

ეს ალაგი ტფილისიდამ რვა ვერსზე მდებარეობს, აღმოსა-ვლეთით წინ პატარა საყდარი სომეხთა და თვალ უწდომი მინდორი, დასავლეთით მტკუარი, ჩრდილოეთით ტფილისი და სამხრეთით მინდორი ყარაჯალისა.

ამ ეკკლესიის სალოცავად მოდიან უმრავლესნი ტფილისის მცხოვრებთა და სოფლებთაგანნი, ყოველნი გამხდარნი ავათ

---

(*) ეს მოთხრობა ეკუთნის გავლილ დროებას

ყვავილისა, წითელისა, ქუნთრუშისა და სხუათა ამ გუართა სნეულებათა, რომლებთა წამლობა ძნელია. რა რომ მშობელნი შვილს იხილვენ ამა სნეულებისაგან შეღონებულს მყისვე აღუთქმენ ხსენებულ ეკკლესიაში მისვლას და ვედრებას.

მასთანვე მშობელნი ჩაიცუამს და ყმაწვილსაც ჩააცმევენ თეთრს, წითელს ანუ პირის ფერს და შემდგომ მივლენ რამჟენისამე დღით, გარდახდიან თაყვანისცემასა და დღესასწაულობასა, გაიხდიან შეთქმულს ფერადოვანს საცმელსა ეკკლესიის სასარგებლოთ, რომელს ეკკლსიას ამ მიზეზით აქვს დიდი შემოსავალი.

ზოგნი, უმეტესად ქალნი, გაიკეთებენ ყელზე ვერცხლის ანუ რკინის უღელსა, შემდეგ რამდენსამე გზის ფეხ მიშველა ჩასვლისა მივლენ, მეიხსნიან უღელს და მოსწირვენ უმობელს ძროხას, ცხოვარს, ანუ ბიბილო წაჭრილს მამალს, რომლისა ზუარაკის დაკულა დაშთენილი ძველის რჯულისაგან აწ ახალის რჯულით წინა აღმდეგია.

ეს ქვემოს ნათლუხი ეკკლესია არის მიწერილი, ეგრეთვე ზემო ნათლუხის შტატის წმინდის მოწამისა ბარბარეს ეკკლესიაზე, რომელი არის უმეტეს შემოსავლიანი და ორნივე ესე ეკკლესიანი წმინდისა მოწამის ბარბარესი, რწმუნებულ იყო ბატიოსანი მღუდლის . . . . .

ამ ზემო შტატის ეკკლესიის შემდგომს დილის ცისკრის გამოლოცვისა, მღუდელი დიდ ხანს დაფიქრებული წინ და უკან

დადიოდა რა დაღალული, დაჯდა საყდრის გვერდზე გარი-გებულ ქუაზე, ამოიღო კოლოფი, მოსწია ბურნუთი და დიძახა: მართა!

ბატონო. მოისმა ხმა და გამოვიდა იმავე მღვდლის სახლიდამ მანდილოსანი, შავით მოსილი 55 წლამდენ ფერმკრთალი, სუსტი, მოუახლოვდა რა, მოახსენა: რას მიბრძანებდი?

უთხრა მღვდელმა, აი რას გიბრძანებ ჩემო მართა, შენ უნდა გაკისრო ერთი მძიმე საქმე, — უნდა გაგგზავნო ქუცმო ნათლუხის ეკკლესიაში. —

ქა! ეგ რა მძიმეა! უთხრა მართამ, შენმა მადლმა ეხლავ წავალ და ორ საათამდინ ამოვალ.

არა, ეგრე არა, უთხრა მღვდელმა; გაიგონე რას გეუბნები? ის ეკკლესია, რისაც მივანდე, არა მიჩვენესრა იმოდენა შემოსავლისაგან, ფილიპე უარესი იყო პეტრუაზე, თევდორიკამ ყველას გადააჭარბა, მეც მამწყინდა ამდენი ზვერა. ვერ მოვასწარ, ახლა ვიფიქრე მოგანდო შენ გასაღები და იქაური მრთლად შემოსავალი, იქ უნდა იყო დღეცა და ღამეცა, ამაზე უნდა დამეთანხმო.

მიუგო მართამ გაოცებულმა, მე, დედაკაცს ყოვლად სუსტს ყველაში ულონოს, იმისთანა განმარტოებულს ალაგს, მლოცავნი ხან და ხან არცკი არიან ხოლმე, ხომ მარტოს ღამე მეჩვენება ის ალაგები და იმ მკტკურის გრიალი, მგელთა ანუ ეშმაკთ ღრიალი და ხომ დამახჩობენ იმ წყლის დაჭალის

პირის ავი სულნი.

უთხრა მღუდელმა: დასწყეველოს წმიდა ბარბარემ ისინი, რას ანბობ, სად არიან, ამასთანავე მე მოვიფიქრებ რომ შენ იქ მარტო არ იყო, დაო! შენის მეტი ერთგული არა ვინა მყავს და აღარცა ვის ვენდობი, ხომ ხედამ ჩემს გაჭირვებას.

დიახაცა ეხედამ, მიუგო მართამ, სულ ჩემის პატრონის რძლის თინათინის საქმეა, მე ხომ ძმაო, სხუა არა ვარრა, მოახლე ვარ, პურის მცხობელი, მგველ—მწმენდელი, მესარეცხე, ყველამი მორჩილი, მეტყვიან ავსა, მე კი პასუხი ვერა მითქუამსრა, ვხედავ შენს ზარალებსა და ჩუმათა ვარ.

უთხრა მღუდელმა: განა ახალი მოხდა რამე? თუ იცოდე მითხარ, ნუ დამიმალავ. ქა! მეტი რაღა იქნება, ამოდენა ჯალხი შენს სახლში ყოველ დღე) სიმდიდრეს სახლში ეზიდები, მაგრამ სიღარიბისა, და მწუხარების მეტი კელში არა გიჭირავს რა. ამიტომა რომა, შენ რომ შეგაქუ'ს სხუას გაქუ'ს. მღუდელო ლამის დავგლოხავდე, არ ვიცი ის სამშობლო, იმდელი მშიერი ხროვა.... როდის დამდიდრდებიან ან დაძღებიან? ეგ ძლევით და ისინი ზიდვით ვერ დაიღალნენ, მოიღე ყური რა გითხრა. (უჩურჩულებს.] ცხვთას იქით, ალმასის წყალზე, ახლა ხომ გაიგე?

კარგი, კარგი მღუთის გულისთჳს, მაგაზე ნურარას იტყვი,

არ გაგიგონოს,რაგაეწყობა, რა ვქნა დაო, მოთმინებას ძალა უნდა დაეატანო თუ კიდევ შეიძელ ატანა, აი უდროვოთ დავბერდი, თმა გამითეთრდა, ველარა გავაწყერა, რავქნა, ეგ როგორც უნდა იყოს თავი დავანებოთ, ახლა ისევ ვსთქვათ, რომ იმ ქვემო ეკკლესიაში წავიდე.

მიუგო მართამ, გაგიტყდები მღვდელო, ვერ ვბედავ იქა რომ...,

ღმერთო ჩემო. რასაძნელოა, აბა რა არის, აქ რა დაგიკარგავს რას ეძებ, რასლა ელი, ჩემზე ხუთის წლითა ხარ მეტი, ქვრივი მღვდლისა შენებრ მოდღევებული უნდა ეძებდეს სულის საქმეს, ეგეც საქმე და ადგილი სულის საცხონებელი, მანდერა გაცვია შავები, გახდი მოლოზანი, სთქვი მოლოზანი ვარ თქო, წიგნის უცოდინარობა არას დაგაბრკოლებს, სხვებრ მე დავიცავამ შენს პატივს.

ამ სიტყვაზე მიგო მართამ, თუ-კი მოლოზნობით მეიძლება ცხონება ჩემისთან ცოდვილისა, იმის მეტი არა მინდარა.

ეგ შენი საქმეა, უთხრა მღვდელმა, ცხონების წინ რა უდგია, რამდენი მაგალითნი გვიძევს წინა ცხონებაზე, აი გითხრა, უფრო ახლო, დიდი მოწამე ბარბარე, დიდებულის, მდიდარისა, მაგრამ კერპთ მსახურისა, უმშვენიერესი ქალი, რომელმა უარ ჰყო კერპნი მამისა თვისისა, იწამა და შეუდგა ქრისტესა, გული მისი ვერლა ვინ მიაქცია, ვერა ვეთარმა შეგონებამ მამისა და მეფისა თვისისამან. ვერცა ფერად ფერადმა მასზედ მოხმარებულმა სატანჯველმა, რომელს

უკანასკნელ მამამან მოჰკვეთა თავი ბარბარეს და უსჯულო იგი მამა მისვე ზეცით გარდმოჭრილის ცეცხლით დაიწვა და იქმნა ნაცრად და წმინდა ბარბარე მეიქმნა დიდებული, ჰქმნა ფერად-ფერადნი სასწაულნი და არის მარადის წინაშე ქრისტეს მღვთისა მეოხი და შუამდგომელი ჩვენ გულით მთხოვნელთა მისთა.

მართამ ამ სიტყვებზე მინაგანით აღძრულმა წამოიძახა: ეს რა მესმის? მამამ მოსჭრა თავი? ახ! ის წყეული მამა!

სწორეთ მამამ და ცეცხლითაც დაიწვა, იფიქრე იმის ტაძარს ქვეშ შეფარებულს რა გაგიჭირდება, ხედამ უმრავლესნი ერნი რა რიგის სასოებით მიილტვიან და ითხოვენ მისგან წყალობასა და შეწევნასა წინაშე მღვთისა, შენცა ცხონების მეტი არა გაქვსრა სათხოვარი.

მართამ ცრემლ მორეულმან უპასუხა,-წავალ, უთუოთ წავალ, შევდგები მონოზნად, ეკკლესიას დღე და ღამე არ განვშორდები, მაგრამ მღვდელო, მარტოკა კი არ შემიძლიან.

გულით კმაყოფილმა მღვდელმა უთხრა, მეტი ღონე არ არის, უნდა გიმოენოვინმე, მაგრამ საყდრის გასავლებს, კრუჩკას დაბეჭდილს და ყოველსავე შემოსავალსა მხოლოდ შენ განდობ, კვირაში ერთხელ ჩამაბარებ ანგარიშსა, აჰა გასაღებები, ეხლავე შეგიძლიან წახვიდე, არა გიშავსრა, ამ მაისის თვეში გახმიანებულია ის არე მარე, მლოცავნი მოუკლებლივ არიან, მართა დამორჩილებული განაგებდა რა ხსენებულს

ქვემო ეკკლესიას, შემდგომ ორის კვირისა, უცებ გამოცხადდა მღუდელთან ტფილისს მცხოვრებელი მალხაზა ქიანურელი, ემთხვია რა კელსა, მოახსენა: ბატონო დეკანოზო, როგორც მხედავთ ერთის დიდის მიზეზით ორივ თვალები დამაკლდა, მით შევიქმენ საწყალი.

მღუდელმა გასჩხრიკა რა, ის იყო ქალაქის კინტუა, ბი-ჭისაგან კოლკიდებით მოყუანილი, იქნებოდა 24 წლისა, ჩაუდის კაბა შალერით, ყანაოზის ახალუხით, წითელი ბუ-ლის პირი ბუზმენტ მოვლებული, ბუხარის ქუდით და საზო-გებით მოსილი, ერთი სიტყვით სახე და აგებულება მისი იყო სასიამოვნო, მას ტყუილად გაეკეთებინა თვალებზე სათვა-ლები სრულიად ვერას ხედავდა, უთხრა მღუდელმა, შენ მართლა დაბრმავებულ ხარ?

დიახ ბატონო, მეც ეგა მტანჯავს, ერთი საეედრებელი მაქუს თქუენთან, რომელზედაც ჩემი უკანასკნელი იმედი დამყარებულია. რა არის აგრეთი? უთხრა მღუდელმა, თუ შემიძლიან გავაკეთებ, მითხარ ვისგანა გაქუს გაჭირვება ან შეუამავლობა ხომ არავისთან გინდა?

უთხრა მალხაზამ, დეკანოზო, საქმე თქუენს კელშია, ჩემს თხოვნას უარი რომ უთხრათ, თავს დავიხჩობ.

მღუდელმა გაკვირვებულმა, მიხედ მოიხედა, მერმე ბუ-რწუთს დაუწყო წევა, პირ მიბრუნებულმა წაიბუტბუტა, ხათაბალას რომ იტყვან აბა ეს არის! (მალხაზას] გეუბნები მითხარ რა გინდა, აი მე ორივ ყურებით მხავარ

მოვისმინო. მოახსენა შემკრთალმა, მამაო წმინდაო ბატონო, მამ მოისმინეთ:

მოახსენა შემკრთალმა, მამაო წმინდაო ბატონო, მე ვარ ესე დასაწყლებული, ობოლი, უნათესაო, შეუწევნელი, მე მინდა თქუენ და თქუენს ეკლესიას შემოგეხიზნოთ სამუდამოთ რომ...,.

ამ სიტყუაზე წამოხტა მღუდელი და უთხრა: კარგი, კმარა! ნურას იტყვი, ჩემი საქმე არ არის ეგ უსაფუძვლო თხოვანა! მაგისი შესრულება არ შემიძლიან.

მალხაზამ დაუწყო ხვეწნით, — ბატონო მღუდელო... მაგრამ მღუდელმა გააწყვეტინა და უთხრა: გეუბნები ნულარას იტყვი, არას გაგიგონებ, წავიდა ჩქარის ნაბიჯითა, შევიდა შინა და მოხურა კარი.

იდგნენ რა ერთ საათამდინ, ჰკითხა თავზარ დაცემულმა მალხაზამ წინამძღვარსა თჳსსა სიმონს რომ, ქუცმო ნათლუხის ეკლესიაში წაიყვანოს, ხომ გზა იცის.

მიუგო სიმონამ, ეს გზა ჯელ იმაზედ ჩაივლის, იქამდის სამი ვერსი იქნება, მაგრამ მე იქ არ წაგიყვან, პირობა აქამდინა მქონდა, ჩემი რა ბრალია აქ არ მიგიღეს, უნდა უკან წაიდე

რას ამბობ, მე მარტო აქ ხევებში ჩავიჩეხები სადმე, შენ უჩემოთ ვერ წახვალ.

შენ თითონ რას ამბობ, მიუგო კინტუამ, ეხლა ბატონყმობაც აღარ იქნება, აი თუ ვერ წახვალ, და გასწია ტყი-

ლისასაკენ, სამ შაურად აქამდინ მოგიყვანე, თუ გინდა უკანვე წაგიყვან მაღლისთვის, ჰა, მოდიხარ თუ არა, აგერ შუადღე მალე იქნება.

დაუძახა მალხაზამ, მამა გიცხონდა, თუ ღმერთი გწამს, მოდი, აი რა გითხრა, და თან ამოიღო ჯიბიდამ გროშები. აჰა, დათვალე, ორი შაური, მობრუნებულმა კინტუამ საჩქაროთ მიუშვირა ხელი, დათვალა და უთხრა; ახლა კი ვიქნები, აბა ახლა მითხარ, საით გასეირნო?

იქით, საცა ჩემა ბედმა მიწინამძღროს, რა ვქნა! რომელი რა მემართება! რა მოვაგვარო, რა უყო ამ მღუდელსა, თან ამოიოხრა მწარედ.

ამას შორის მღუდელმა, სახლის ფანჯრიდამ იხილა რომ იგინი იქვე დგანან, გაალო კარი და ანიშნა სიმონას; რათა მივიდნენ იმასთან, შევლეს ეზო და შევიდნენ პატარა კეკლუცს ზალაში ხალებით დაგებულსა, აღმოსავლეთით ხატი მაცხოვარისა და წმინდათანი და სხუანი მხარენი ძვირი ფასისა კარტინებით და მებილით განმვენებულნი, მღუდელი ზე მდგომარე უანაფორო აბრეშუმეულის ჭრელის კაბით, პრტყელის ფერადოვან ნაქსოვის შალის სარტყლით, . . . . . . თავ მოხდილი, თეთრ-რეულის მოელვარე თმა წვერითა, საშუალის ანაგებობითა, ბრწყინავდა კარგის ღირსეულობითა, მალხაზა ვერა რას ხედავდა, გარდა ლაპარაკისა იდგა კინტუა სიმონასთან ჩუმად.

უთხრა მღუდელმა, — აკი გითხარ ვერა გიყვან. მოახსენა

მალხაზამ, მამაო წმინდაო, თქუენ არ შეგაწუხებთ ჩემს ჩაცმა გამოზრდაზედ აღთქმა დავსდე ქუემო ნათლუხის ეკლესიას ვემონო დღე და ღამე იქ ყოფნითა.

ამ სიტყუაზე გახარებულმა მღუდელმა უთხრა, ქუემო ეკლესიაში? კარგი იქნება, ძალიან კარგი. რატომ წელან აგრე არა სთქვი?

წმინდაო მამაო, თქუენ გიმძიმდათ, გეგონათ რომ ....

საჩქაროთ გააწყვეტინა მღუდელმა და უთხრა. აი მამიცია პარობა. შენი თხოვნა წმინდათ შევასრულო, იყავი იქა, მამიცია ნება, შენთან იქნება იქ მოლოზანი ჩემი დაჲ მართა, მამა შვლობამ კეთილი საქმე გიფიქრია, სულის საცხონებელი, არას დაგაკლებთ, შენზე თვალ ყურს დაიჭერ, ეს ბიჭი საჭირო აღარ არის, წაიღეს თავისთვს, მე თითონ ჩაგიყუან და დაგაბინავებ კარგათა.

ამისთვს როგორც მალხაზა იქმნა მხიარულ, ეგრეთვე და უმეტეს მღუდელი, ამბობდა თავისთვ'; ვინ მოიფიქრებდა თუ ასე მოულოდნელად ასეთს კაცს ვიშოვნიდი, მართალი სული, უმანკო, უანგარო, . . . . . . . , . . . . . . . სწორეთ მეც ესეთი მინდოდა, მხოლოდ იყოს იქა, ჩემს დას ხმა გასცეს, მაგისი სხუა არა მინდა რა.

მიუბრუნდა თინათინს: დრო არის სადილისა, დღეს მე მხიარულათა ვარ, მიყვარს ამისთანა კეთილ განმძრახველი, რომელი შესდგომია სულის საქმეს და მოაგნო კიდეც ალაგსა ცხონებისასა, სადილზე გამხიარულებულმა მღუდელმა სახლოვ

გასა და სტუმართა უჩვენა მხიარული სახე, სადილი, დაას-რულეს მადიანათ ჭამითა და მხიარულებითა და . . .

. . . . . .

. , . . . .

. . . . . .

. . . . . .

შემდგომ სადილისა, გამოვიდნენ ზემოხსენებულს ზალაშივე, სადაც მოერთვათ ყავა, მალხაზაცა გამოიყვანეს ხელკიდებით და დაისჳა გვერდით; მღჳდელმა რა ნახა მალხაზა ყურს უპყრობდა ალტაცებით, დაიძახა: ევსტაფი ანდრევიჩ! მე მსურს წაგიკითხო ერთი უცხო ანბავი, გთხოვთ აქ ჩემთან. და მან ხელით ანიშნა თავის გვერდით პრუჟინიანი კრესლა, ევსტატე ჩაეფლა რა კრესლაში, მოსილი იყო იმ ფორმაზე, როგორც იცმენ ახლანდელნი სტუდენტები. იყო ქართველი კეთილ შობილთ გჳარისაგან, კურსოვნიკი, რომელიმე სასწავლებელისა, მორჩილის ტანისა, თავაზიანი, ალერსიანი, (წვერიანი), სასიამოვნო სახე მისი მხიარული ხან მოწყენილი, მას არ მოსწონდა არა ვითარი ძველთა ანუ ახალთა მწერალთა თხზულებანი, იყო ამა სახლისა ახლად დანათესავებული.

იწყო რა კითხჳა მღჳდელმა, რომელიმე წიგნისგან, რომლისამე ანბისა, შემდგომ ექჳსი მინუტის კითხვისა, ევსტატემ მოთმინება გამოსულმა, გააწყვეტინა, სტაცა ორივე ხელები, შეაყენცინა იგი და უთხრა შეურაცხებითის სიტყვითა

ამით, რომელ, კარგი კმარა, დროს ვჰკრგავთ უბრალოთ. როგორ უბრალოთ, უთხრა მღუდელმა გაოცებულმა, რა იყო, არ მოგწონს ეს ანბავი?

მიუგო ესტატემ: მანდ ახალი სულ . . . . არაფრისთანა არაფერია, უწინ რაც სდომებიათ, მოუგონიათ, უწერიათ.

მღუდელს გაოცებულს ამ სიტყვებით დაასხა ოფლმა . . . . სახე შეეცვალა, რომელმა სიანჩხლე ვერღა შეიმაგრა და უთხრა: უფალო ევსტაფი ანდრეიჩ! შენ ანბობ რომელიმე საუკეთესო . . . წიგნისას ტყუილად მოგონილა და!! ამისთვს, შენ ხარ, უარგისო, ფუჭი ქვეყნისათვს, უბოროტესი ყოველისა, მგონია გსურსთ დასთესოთ რაღაც ღვარძლი, აბა ერთი წაილუღლუღეთ და მაშინ….

ესტატემ გააწყვეტინა, მღუდელო, მე მანდამდის არ მითქუამს როგორცა სჯით.

სტყუ, სტყუი! აზლა გინდა გადასთქუა ვინა! ჰა! ჰაი შე წყალში თევზო და ჰაერში ქორო, თქუენ უწოდებთ თქუენს თავს განათლებულად? სრულიად არა ხართ, ესე იგი; მსწავლული, არც უსწავლელი; ორთა წყალთა შუა რომ იტყვიან ისა ხართ, უსწავლელებში თავს არა სდებ და სწავლული უფრო არა ხართ.

თქუენ ამით გგონიათ, უთუოთ იყოთ განათლებული, ბრწყინვალე დღეში მუადღემდის გძინავთ, რადგან ღამე, თითქმის არ მიილულებთ, ძველი და მოხუცებულნი .. . .

გძულს, წინაღმდეგ უსაფუძლოს და უხამსის აზრებით აქეთ იქით ლობე ყორეს ედებით, სუბუქ მორწმუნე ხართ, მარხუას სჭამთ, ქალთ არმიყობას უარჯისობ და მცარეს წყენაზე დუელში გაზეალთ და სიცოცხლეს ესრეთ დაასრულებთ, მაგრამ სწავლულნი კაცნი და საქმენი მათნი მზესავითა ბრწყინვენ. სწავლულს უჭირავს თავი თჳსი, არ მეტყველებს უდროვოთ და დროსა შემთხვევისასა მშვენიერ მეტყველებით მოჰფენს სხივთა თჳსთა, სდგას სარწმუნოებაზე მტკიცედ, არის სიმართლის მოყვარე; მშვიდი და მდაბალი, ღარიბ ნათესავთა და გლახაკთა ზედან, ერთავან შეყვარებული, მოელის მერმისა საუკუნოსა ჯილდოს, აი თქუენსა და სწავლულებში განყოფილება. დაასრულა რა ეს სიტყვები, აიტაცა ანაფორა: წავიდეთ მალხაზ, დრო არის და გავიდნენ გარე.

ესტატე ამ ლაპარაკით გადავიდა საძღვარს იქით, თავ დაღუნული ხან თითქო დასაძაგებლად მღუდელს შეაცეცებდა თვალთა, რომელსა მოულოდნელათ უცებ დაუსხლტა ხელიდამ. მით უმეტეს დარჩა თავ ზარ დაცემული, არ იცოდა რით გადაეწყვიტა, იდგა უძრავად და ბუტბუტებდა, ოოხ! თუ დრო ჰქონიყო ანუ შესძლებოდა რამ, უთუოთ შურს აგებდა მას, მაგრამ მიმოიხედა რა, გახმიანებული დიდი სახლობა და თითქმი მრთელი სოფელი ნათლუხისა ემორჩილებოდა ბრძანებასა ღუდლისასა, თითქო ძლიერის მებატონისა', შექმნა ყოველით სხეულით რყევა და გაუვებარი

ბუტბუტი, გადიხედა ფანჯრიდამ, იხილა მღუდელს, ბრმის მალხაზისთვს დაუჭერია მკლავი და მიდიოდა თავქვე. ესტატემ წამოიძახა ჰი! ჰაი! . . ამ დროს მარჯვენივ მდივანზე მჯდომმა ქალმა უცებ გასცა ხმა, რომლისა შემოსვლა ვერ იგრძნა: ვისზე სჯავრობ ევსტაფი ანდრეიჩ, გთხოვთ მობრძანდეთ, აი ნარდი, მზათ გაშლილი გახლავსთ.

ესტატემ მიხედა რა ცნობილს იმ სახლის ყმაწვილს ქალს თვსის ბრწყინვალე მორთულობითა, რომლისა მშვენიერს სახეზე დახატულნი შავნი თვალ-წარბნი თითქო უგმერდნენ და აყვედრებდნენ მღუდელზე შურის ძიებას, ესტატემ ესეთის უებრო მშვენიერების ხილვით მყისვე განსდევნა მრისხანება თვსი, მივიდა ალერსიანის შეფრფინვით, მოუჯდა ქალს, იწყო ნარდის თამაშობა, ჩვეულებრივის მხიარულებითა.

მღუდელი და მალხაზი ჩავიდნენ ქუცმო ნათლუხის ეკკლესიამი სალამოს მეხუთეს საათსა, ესმათ ქალაქის ერთა მუნ მლოცავთაგან დღესასწაულობა, მიიხედა იქით მტკუარზე გადაივლა მუა გულს ალაგს, სუფრა გაშლილნი ზურნითა და ფითა გაჰკიოდნენ, აქეთ ხალებ დაგებულზე, დაირას ლიპიტოს გრიალზე სთამაშობდნენ ქალნი, მტკუარი მჩქეფრად მწუხარე მოსცემდა ხმასა თვსსა, დასავლეთით მთლობიდამ შავ ნაბადა სომეხთ ეკკლესია გადმოჰყურებდა და თითქო მეზობელსა აძლევდა სალამსა, რომლისა ეკკლესიის მიდამო იხილვებოდა საამო, მღუდელი, მიახლოვედა რა,

მოსძახეს აქეთ-იქით არეულის ხმებით, შენდობა დეკანოზო! ორხნიატერ! ორხნიატერ! ტერტერ!!

მღუდელი მკვირცხლი, ყოველთავე ტკბილად მიხედავდა სიტყვთა ამით: გაკურთხოთ ღმერთმა, გაკურთხოთ შვლებო!

მღუდელმა მიმოიარა, მოსჩხრიკა ყოველივე, მიითვალა მართასაგან ფული თუ ნივთნი, შემდეგ მართას წარუდგინა: აი დაო რა შვლობილი გიმოვნე, ყმაწვილი კაცი, ჭკვიანი, მაგრამ თვალები კი წამხდარი აქვს, ამასაც ამ ეკკლესიის სამსახური უნდა, მარტოობით არ შეგაწყენს, აბა რას იტყვი?

კარგი, უთხრა მართამა, არა უშავსრა, იყოს იქა და თან მოჰკიდა ხელი.

უთხრა მღუდელმა, თქუენ იცით როგორც მოიქცევით, სიმართლით, პატიოსნებით და მოთმინებით ემსახურებით ეკკლესიასა ამას, იცოდე მალხაზ, მართა არის შენზე უმფროსი, ამის კელში იქნება ფული და ყველა ანგარიში, გაიგე თუ არა!

გავიგე ბატონო, მოახსენა მალხაზამა.

მშვიდობით, ნახვამდის, მართამ და მალხაზამ კელს აკოცეს და გამოესალმნენ, მღუდელი წავიდა შინა.

მართა შეიქმნა კმაყოფილი ამისთანა კელით სატარებელის ამხანაგის შოვნისთვს, რომელი ვერას უწინააღმდეგებდა, მალ-მალ ეტყოდა ყმაწვილ-კაცობით აღყვავებულს, ოხ! სიბრმავე რა ცეცხლია! უთხრა ერთხელ ღმობიერებ-

ში მოსულმა კეთილმა დედაკაცმა, იყავი ჩემთანა, მე მო-
გიელი როგორც შვილსა,

თო! კეთილო სულო, მიუგო მალხაზამ, იყავით რო-
გორც დედა, მეც არ გეყოლები ურიგო შვილი, საზოგადო
მამა დიდი ღმერთი ჩემიც მამა არის, მეც ვიშოვი ფულსა,
კარგი კელობა ვიცი.

ჰკითხა საჩქაროთ მართამ, აბა რა კელობა იცი, რა
შეგიძლიან ბრმასა?

მე? მე? რა შემიძლიან! მე ბევრი რამ შემიძლიან! მე
კაცი ვარ სრული, მაქვს მოხერხება, აი ესე თითებს ვათა-
მაშებ და ფულები თავის თავად მოვა.

უიმე გენაცვალეთ! უთხრა მართამ, ეგ ხომ ეშმაკური
რამ იქნება, აი სატანა არ მოიყვანო და სიბერის დროს
არ გამიტაცოს.

არა დედა, მე ეგ არ მითქვამს, ღმერთმა დალახვროს
ეშმაკიცა და სატანაცა, სად იქნებიან?

მაშ რა სთქვი შვილო, აბა მითხარ, თითებს როგორ
ათამაშებ, რა გამოვა იქიდამ?

მიუგო მალხაზამ, რაც გამოვა, ყოველსავე გაიგებ.. თუ-
მცა ბევრს ლაპარაკობდნენ მალხაზზე რომ ყმაწვილი კაცი
უსარგებლოთ ეკკლესიის სამსახურისთვის რამ ალსძრა, მაგრამ
არავინ იცოდა იმისი აზრი რომ, მას ჰქონდა უდიდესი ანგა-
რება ამა ეკკლესიაზე, რომელსა აწ ცხად ვჰყოფ; მალხაზს
გაეგონა მდაბიო ხალხთაგან რომელ; სხუა სარწმუნოების

ზოგიერთნი ხალხნი შეუთქმენ თავიანთ სხუა და სხუა სა-
ლოცავეთა: რამდენიმე წლით და იმის ძალით ვითომ თუ
სწავლობენ ჯადო ქარობას, თვალთ მაქცობას, მკითხაობას,
წამლობას, ჯამბაზობას, საზანდრობას, ესე იგი, საკრავს და
სიმღერას და სხუათა მრავალ გუართა. მალხაზს ამათში
აერჩია საზანდრობა ესე იგი, სწავლა თარისა, ჩონგურისა,
ქიანურისა და სიმღერისა, რადგან სხუა არა შეეძლო რა,
რომელი შეთქმა მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთაგან, მგონია
მაგალითი არაოდეს ყოფილ იყოს და თუ პირველშივე გა-
ნაცხადებდა მყისვე განსდევნიდნენ; მაგრამ არავის უთხრა
დრომდინ.

მალხაზმ იცოდა ოთხი ენა, რუსული, ქართული, სო-
მხური და თათრული, თუმცა ტფილისში ერთობ ამა ენებით
არიან მოლაპარაკები, რუსნი, ქართუელნი, სომეხნი, თათა-
რნი, ბერძენნი, ფრანგნი, ნემეცნი, თრანცუზნი, იტალიელნი,
ებრაელნი, პოლიაკნი, ოსმალნი, არაბნი, ლათინნი, დუხა-
ბორნი, მენგრელნი, აფხაზნი, სუანნი, გურიელნი, ჩერქეზნი,
ლეკნი, ქისტნი, მალაკანნი, მულთონნი, სპარსნი, ასურნი,
აისორნი, ოსნი, თუშნი, ჩაჩანნი და სხუანი, მაგრამ რო-
გორც ზემო ხსენებულნი ოთხი ენა იხმარება ყოველს დროს
ტფილისში, ისე სხუები არა,

მალხაზმ შემდგომ ათისა დღისა მოიმართა თარი, იწყო
დაკვრა, ზედ მიაყოლა სიმღერა, რომელმა იცოდა კიდეც,
მხოლოდ ლექსნი და გავარჯისება აკლდა, მართა მაშინ მი-

ხედა თითების თამამობას თუმცა პირველ არ ესიამოვნა მაგრამ, რა ყური შეაჩვია ისე შეუყვარდა რომ, ეტყოდა მალ მალ: მალხაზ სევდის მოსაქარვებლად დაუკარ შენი თარიო.

მალხაზს თარის სიმღერის საქმე წავიდა წარმატებაში, განისმა ქალაქის მდაბიო ხალხში ქება მალხაზისი, ვისაც შეთქმული არა ჰქონდათ, ისინიც კი მოდიოდნენ სალხინოთ იმა მმეცნაერს ჰაერიანს ალაგსა. მალხაზა რგელივ ქალთა და კაცთა შორის ყელ მოღერებული უკრავდა და ზედ დამღერდა ხალისიანად, მაყურებელნი იქნებოდნენ აღტაცებაში, რადგან გარდა საკრავისა და სიმღერისა აქუს ნიჭი იმ გუარის ხუმრობისა, რომლისაგან ხალხნი ძლიერს შეიმაგრებენ თავსა სიცილისა და ხმიანის მხიარულებისაგან; ამის გამო არ ზოგვენ მისთვს უხვად საჩუქარსა.

აჰა, დიდი ფულები, დათვალე, რამდენია და შეინახე. აკი ესთქვი ფულები თავის თავად მოვა მეთქი·

ერთ გზის მღუდელი ჩაიდა შებოსავალის მისათველელად, ამოიღო ჯიბიდამ მართამ, შეცდომით მისცა გახვეული წვრილი ბილეთები მალხაზისაგან მიბარებული, მღუდელს მოხუდა რა კელს ბლომათ ფული, შესცინა და უთხრა: სჩანს ამ კვირას ბევრნი ყოფილან მლოცავენი, აქ არის სამი თუმანი, ოთხი მანათი და ორი აბაზი.

მართამ: ახ! მღუდელო! და მაშინვე მიაჩეჩა სხუა შეკრული და უთხრა; აი ეს არის მლოცავეთაგან შედგენილი, ეგ პირველი

ჩემი ფულია.

მღუდელმა სიამოვნებით დათვალა, ესეც არის თერთმეტი მანეთი და სამი აბაზი, ჰა! მართა შენ რა თქვი, რა ფული გაქვს, მიუგო მართამ, ჩემი კი არ არის მალხაზასია!

ახლა მალხაზასი სთქვ, უთხრა მღუდელმა, ნეტა რას როტამ? შემოწირულს ფულსა რისთვსა ხდი მალხაზასას; სხვეებზედაც მაგას ეჩიოდი. მე უკვე ვიცოდი ეს რა ფულიც არის სთქვა თუ არა, გასწია საჩქაროთ, დარჩა მართა დიდ ხანს უძრავად, როგორც ამართული ბრუდე ქვის ძეგლი, რომელსა ორნივ კელები ერთით მიტყუპულნი წაემეირა და მიჰყურებდა მღუდელსა. რა არღა მოხედა, მართამ თავზარ დაცემულმა ამოიოხრა და წრმოსთქვა თავისთვს, სჩან მღუდელი გაჯავრებული იყო, არ ვიცი შეიძლებდა ისევ გამორთმევას იმა ფულისას თუ ვერა, მანამ საწყალმა მალხაზამ არ უნდა იცოდეს, თორემ თავს მოიკლამს.

მალხაზას საქმეს და შემოსავალს თან და თან ემატებოდა, განვლო ზაფხული და ფიცხელმა ზამთარის ყინვამ დაუახლოვა სითბოს ყოველნი, მართამ და მალხაზამაც საზაფხულო გარე ოთახებში ვერ შესძლეს და შევიდნენ ეკკლესიის გვერდზე მიდგმულ ოთახში, რომელი იყო გალესილი თბილ საფენ დაგებულს ალაგს მაღალზე დღვივებულს ცეცხლს მართა ორივ კელებით გულიანად ჩაჰქაქოდა, მალხაზა დაბალის ხმით თარს უკრავდა და ხედ დამღერდა, ეს იყო

იანვრის თვე, დრო ღამის მეათე საათისა, თხელი ღრუბელი გამოუშვებდა წვრილ თოვლსა და ძლიერს ყინვასა. აღმოსა-ვლეთით დაღისტანის მთებიდამ ჰბერამდა სუსხიანი თოვლი-ანსა ქარსა, იყო სუსხი ყინვა და დიდი თოვლიანი ქარის კორიანტელი, ამ დროს ვიღამაც კარზე მოაჭენა ცხენით, მცირედ დადგა, დაუგდო ყური სიმღერას, მერმე დაიძახა რაღაც ცუდს ხმაზე და დაარახუნა კარი.

დაუძახა მალხაზამ: ამ დროს ვინა ხარ?

უცნობმა ხმის მაგიერ ძალზე კარს მიაწვა და დაარახუნა.

დაუყვირა მალხაზამ, მე გეუბნები ვინა ხარ?

უცნობმა გასცა ხმა თათრულის ენით: კარი გააღე!

უთხრა მართამ, ჩვენი ენაც არ ესმის, ვიღაც თათარია რას იტყვი, აბა როგორ გაუღოთ კარი. უთხრა თათრულად, ამ დროს საიდამ თრეულხარ, წადი თათრის ბინა არ არის.

მოისმა ხმა: მე თათარი არა ვარ, ბერძენი ვარ, სიცი-ვით გაყინული რას როხამ, უთხრა მალხაზამ, ამ მხარეს ბერძენი არა ვინ არის და თათრები კი ბევრნი, წადი ზემოთ ნათლუხში, იქ იმოვნი ბინას და გათბები.

გეფიცებით არა ვარ თათარი, ბერძენი ვარ სწორეთ, ბერძენი, ქრისტიანი, ყარაჯალაზე ნათლის მცემლის მონას-ტერში ვიყავ, თავი ვერსად შევაფარე, გავიყინე სიცივითა ვკვდები, მადლია, გამიღეთ.

ჰო მონასტერში იქნებოდი, ქრისტიანი იქნები, ბერძენი, სთქვა მალხაზამ; გაუღეთ კარი. გაეღო კარი და შემოვარდა

წითელ წვერიანი თათარი, აბდულ ალია წოდებული, რომელიც იყო ჩასხმული, სხვილი ძვლიანი, სრულიად იარაღით შელესილი, თავი რამდენსამე ალაგს დავარდნილი, სჩანდა რომ იმას გამოეელო ქურდობაზე გამბედაობითი ვაჟკაცობა და გაეგზავნა რამდენიმე საიქიოსა, ქებულნი მეზობელთ თვისთაგან, ვითომ ვაჟკაცურად მტაცებლობისთვს.

იოსებ ელიოზოვი.

(ზოგი შემდეგში იქნება.)

უფალო რედაკტორო!

წარსულს 1868 წელს „ცისკრის“ მეათე ნუმერში იყო დაბეჭდილი ვოდევილი: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, მაგრამ არ იყო მოხსენებული: ეს ვოდევილი არის ნამდვილი, თუ გადმოთარგმნილი, ანუ გადმოკეთებული სხვა ენითგან.

რადგან შევნიშნე ეს ნაკლულოვანება და ის ვოდევილი იყო გადმოკეთებული ჩემგნით რუსულის ენითგან ქართულს ენაზედ, გთხოვთ გამოაცხადოთ ეს შენიშვნა, რომ მკითხველთ არ იფიქრონ ვითომც მე მიმეთვსებინოს სხვა ავტორისაგან მოგონილი საგანი ვოდევილისა. მე მხოლოდ გადმოვიღე როგორათაც შეესაბამებოდა ჩვეულებას და ხასიეთს იმ პირებისას, რომელნიც შიგ არიან გამოყვანილნი.

თქვენი ჟურნალის თანა მშრომელი თ. რაფიელ ერის-თავი.

23 იანვარს 1869 წ.

ქ. ქუთაისი.

## რამდენიმე სიტყვა ლოტოს თამაშობაზედ.

**1868**წ. ნოემბრის ცისკარში, წავიკითხე უ. თავხედის ლაპარაკი, ლოტოზედ. უფალნო მკითხველნო. უნდა მოგახსენოთ, რომ სწორეთ ზედ მიწევნით ლაპარაკობს მართლებსა, და არა ტყუილებსა. მკითხველნო, ისიცა მკითხეთ თუ როგორა. ისე, რომ სწორეთ საქებია უ. თავხედის ლაპარაკი, და ყველასაც მოგეწონს, და მრავალთაც ისურვეს იმის წაკითხვა ცოლიანმა ხალხმა, მაგრამ კიდევ არ იშლიან თამაშობას; მაინც კიდევ გახურებულ თამაშობაში არიან. მაშ მეც მოგახსენებთ თავხედის ლაპარაკის მზგავსსა, თუ არ შეგაწუხებთ ლაპარაკით.

ამისთანა ამბები ჩვენში უფრო ხშირია, და საცოდაობაც მოხდა ლოტოს თამაშობით. თუ როგორ: ასე, რომ ერთი ბატიოსანი კეთილ-შობილი კაცი იყო სამსახურში, ჯამაგირი ჰქონდა, თვეში სამ-თუმან ნახევარი. ამასთან ამას ჰყავდა ლოტოში გამყოლი ცოლი, თავის ჯამაგირი მოეგროვებინა ოც თუმნამდი. რა ცოლი ლოტოში გართული იყო, ისე არ წავიდოდა, რომ თითო წაღებაზედ ოცი მანეთი, ან თუმანი არ წაეღო.

ამასთანავე მინამ სულ არ წააგებდა შინ არ მოვიდოდა. სამი თჳს შემდეგ ამ ქალის ქმარიც სამსახურიდგან დაითხოვეს, და რა იცის თუ ის ფულები ცოლს ამოუღია და ლოტომი წაუგებინებია; რასაკვირველია როცა შეიტყობდა ბევრს იჯავრებდა, მაგრამ, რაღას მოუმატებდა. ამასთანავე ერთს უქმე დღესა, რა თამაშობა გათავებულა შინ მისულან, ქმარს ცოლისათჳს უთქვამს სუფრა გაშალეო. (ცოლს) რაც არა გვაქვს რა დავაწყოო. მკითხველნო, ახლა თქვენ გაამართლეთ ეს ქალი და გაამტყუნეთ კაცი. აქ ვიფიქროთ ამ კაცის მოთმენა, რომ რა ნაირი სათნო ყოფილა, ხმა არ გაუცია. მგონია ჩემის მოკლეს ჭკუით, არც იმტენი უნდა მოეთმინა, რომ თავზედ შესჯდომოდა. რაღა თავი შევაწყინოთ, დილიდგან საღამოს სამ საათამდინ უჩაო, და პურ უჭმელი ყოფილან. ამ სამ საათის გასულს, ერთი კაცი სწვევიათ, ე. ი. ის კაცი ყოფილა მათი ნათლია. რა ეს ნათლია კარებთან მისულა, და დაუნახამთ, ეს ცოლ ქმარი ფაცხა-ფუცხით შკაფში შემძვრალან დასამალავად, ამ ნათლიას თვალი შეესწრო, ეგრძნო, რომ აქ ერთი საქმე იქნებაო. გაბრუნებულა და პირდაპირ დუქანში შესულა, მოუთხოვნია ჩარექა ღვინო· აუღია ჴელში, და მაღალის ჴმით იმათი სადღეგრძელო დაულევია. ამ ხმაზედ შკაფიდგან ორნივე გამოსულან ვით ტუსაღები ციხიდგან. ცოლს უთქვამს: წადი აქ მოიყვანე სხვაგან რამ აღარა სთქვასო. (ქმარს) მე მცხვენია ვერ დავენახვებიო: აი უფალო მკითხველო, ესა სცო-

ღნია ლოტოს, რომ სილარიბის გამო ორი წლის უნახავი ნათლია სირცხვილის გამო ვერ მიელოთ, და ბოლოს კი ეს სახელიც დარჩა საქართველოში. ჰო, იმას მოგახსენებდით: რა ქმარი სირცხვილის გამო არ დანახვებოდა, მაშინთურმე ურცხვათ კარებთან გასულა და ნათლიასთვის დაუძახნია: ნათლია-ნათლია, აქ მობძანდი, და ეგ ღვინოც აქ მოიტანეთ. ნათლიას ერთი თუნგი ღვინო მიუტანია, შესულა, ჩამოურთმევია კელი, ბევრი სალამი და ბევრი მოკითხვა; ესენი დალონებულის სახით ყოფილან. მერე ნათლიას ის უთქვამს: არ ვიცი მიწყრებითო, თუ შკაფში, რომ გეძინათ იმისაგანა ხარ დათენთილიო, და ვერ გამოფხიზლებულხართო. [ნათლი დედას] ნათლიავ! თუ თქვენ არ გითხრათ, მამ ვილას ვეტყვი. აი გიამბოთ რა მოხდა: რასაკვირველია თავის კაი დედაკაცობას მოუყვა, და ყველა წვრილად დაასრულა. ჩემი ხასიათი ხომ იცი, მე ლოტო მიყვარდა და ძალიანაც ვთამაშობდიო. ლოტოში კარგა ფულები წავაგეეი, ეს პირველი, მეორე ესა, რომ ჩემი ქმარი სამსახურიდგან დაითხოვესო; და ეხლა ცალკე იმასა ვფიქრობ რათ წავაგეო, და ცალკე იმასა, რომ ქმარი ულუკმოთ დარჩა, და ჩვენი ცხოვრება რა უნდა იყოსო, არცარა გვქონდარა და იმისათვის მოგერიდეთო. (ნათლიამ) მაშ როგორცა სჩანს, უცებ აშენებულხართ, ბარაქალა, ბარაქალა. შენ ჭკუაში, ფიქრათაც არ მოგდის, თუ რა ამბავია. ვითომ შენის ქმრის პენციას რა დააკლდება: არა ვინც, დაგარიგებდა ხოლმე,

შენ ცხვირს რათაუკრამდი. აბა ახლაც გადისროლე ლოტოში წითელი ასიგნაცია, მაგრამ როგორც უ. თავხედი სწერს სწორეთ, რომ მართლა დაუწერია და თქუჱნი ხასიათი სცოდნია, თორემ! ის ტყუილათ არ გაძაგებდათ, ისეთი კაცი არ არის. აბა თავხედის ნაწერი წაიკითხე. მგონია რომ იმ სტატიაზედ მამეტებული დასაცინი გამხდარხარ, და შენკი არ გესმის. ჰაჲ როგორ არა გრცხვენიან, ყველაზედ მომეტებულად შენა პარპამობდი, და მენკი შეიქენ ის,რასაც სხუას დასცინოდი.

პირველი ეხლა ამ საქართუჱლოში, შენა ხარ დასაცინი: მაგრამ ერთით კარგია. ასე, რომ თუ შენ მესცდი, სხუანი მაინც გაბთხილდებიან. მაგრამ მაინც არ დაიშლით, რომ გინდ ქრისტე ქუჱყნად ჩამოვიდეს და გიქადაგოთ. მაგრამ ეს იმედი კი მაქუს, რომ შენსავით ქრმება არ შეაწუხონ და არ გაალარიბონ თვსი ქრმები. დამავიწყდა რას ვანბობდი. ჰო, (ნათლი — დედას მოუხსენებია ნათლიასთვს:)

ნამგზავრი ბძანდებით და პური მიირთვით, (ნათლიას) აბა თურამე გაქუსთ მოიტანეთო. [ნათლის დედას განგებ კიდობანში ჩაუხედნია, და უთქუამს: პური სამსეთა გვქონიაო. (ნათლიას ჩუმათ] სადილათ რომ არა გქონია, ეხლა რა გექნებათო (ნათლი დედა) ნათლია! რასა ბძანებთ, ვერ გავიგე, [ნათლია] იმასა, რომ მითხარი პური მიირთვიო, და პურიც არა გქონია: (ნათლი დედა, დაღონებულის სახით) ეჰ, რა გვეწყობას უბედურებას. ჰო, მაინც ეგრეა; როცა ურემი გა-

დაბრუნდება, კაცი, თუ დედაკაცი მაშინ დაინახამენ გზასა და წინათ კი არ უფთხილდებიან რომ არ გადააბრუნონ; შენც ისე ლაპარაკობ. ამ დროს ნათლია მედუქნეს გასძახებს: ეი, ერთი აბაზის პური, და ორიაბაზის სამწვადე მოიტანე [ნათლიდედა] ნათლიას კელს აუკრამს, და ეტყვის. უი ქა, აუწონლად ნუ ენდობით, არ მოგატყუოს. (ნათლია) ჰო, როგორცა სჩანს, ეხლა მოსულხარ გონებაზედ!, აქამდინ სად იყავი, უნდა გეფიქრნა, თუ ცხოვრება საიდგან მოდიოდა, ანუ იმ ფულებს შენი ქმარი როგორა შოულობდა. შენ არ იცი, რომ შენი ქმარი ჯანსა და ღონეს იქა ლალაედა!, და მენ კიდევ იმას არა სჯეროდებოდი, და რაც ფულები ჰქონდა ისიც ლოტოში წაგიგია. ოჰ ღმერთო, შენ მიკვირს ჩემს ნათლიმამას რა მოთმინება ჰქონია: — შკითხველნო, მე რო ყოფილიყავი იმას მაგიერ არ ვიცი რას ვიქმოდი და რა ყოფას დაავაწევდი. (პირი იმისკენ.) ნეტავი სახლისათვს დაგეხარჯა მაინც: ჰო იმას გეუბნებოდი, ეხლა შენც რომ არ იყაირათო, თითონ ეგ სილარიბე გაყაირათებინებს. მაგრამ, შენი ამხანაგი ვინც ლოტოსა თამაშობენ ჭკუაზედ მოვლენ. არა ნათლიმამა? სწორეთ ვანბობ თუ არა. [ნათლი მამა] ეჰ ძმაო; მეკი ჩემი დამემართა, ეხლა გინდ ჭკუაზედ მოვიდნენ, გინდ რაც უნდა ქნან. მე სხვისა რაში მეკითხება, რომელიც, რომ ჩემი ვერ მამირჯულებია. მკითხველნო, გაიგეთ თუ არა, რა ანბავია. ან რაები ხდება ჩუენს ქუეყანაში: ჯერ ეს ერთი ენახეთ და ჩემი ბედნიერ

თვალებს კიდევაცა ნახავს, თუ არ დაივიწყებენ და მგონი ამათი წყალი იმათაც გარდაესხათ რომელნიც კიდევ თამაშობენ და შენიშნულებიცა მყვანან ორი ოდე ისინიც ამ ქალის დღეს ნახამენ: მერმე ბევრის სინანულში შევლენ, მაგრამ როგორც გატეხილი რაც უნდა აკოწიალო და არ გამთელდეს, ისე ისინი ველარ ნახამენ იმ დროებას, რაც უნახავთ: (იგივე ნათლია, ნათლი-დედა და ნათლიმამა რა მცირედს საუზმეს მიირთმევენ, ამ დროს ექვსნი ქალი დათიშულები შემოვლენ, დაუპატიჟებლად, და სალომეს სალამს მისცემენ, მეც აგრეთვე დალონებულის სახით (ქალები) დაო სალომე, ამ დროს მიირთმევთ სადილსა თუ სტუმარი რომ მოგვსვლიათ იმიტომ:

(სალომე.)

— დიახ! ერთი რომ სტუმარია და მეორე, რომ ორი წლის უნახავი ნათლია ბძანდება. (ქალები). სალომე, იცი რისთვის მოვსულვართ, თუ არა? (სალომე) ჰო, ჰო. მივხვდი რასაც ამბობთ. მაგრამ ეხლა არა. (ქალები ძალახედ დგანან, რა არის მალე ლოტომში ჩასხდნენ:) ვითომ სტუმარი რომ ბძანდება იმიტომ! ეჰ არა უშავსრა, ესენიც ითამაშებენ. (ამ დროს ნათლია ამათ სიტყვას გააწყვეტინებს და იტყვის, ქალებო თუ უკაცრავოთ არ ვიქნები მინდა რამე მოგახსენოთ. (ქალებმა) ბძანეთ, ბძანეთ. ოჰ ქალებო რა ძალიან მებრალებით, რომ თითქოს თქვენი სახლი იყოს ისე მედიხართ დაუკითხავათ, ეს პირველი, მეორე ესა, რომ

აქ რომ შოდიხართ ქრმებმა იციან, რომ აქა ხართ!! მესამ
ესა, რომ გულდაგულ შედიხართ, სტუმარსა ხელავთ და არ
ე რიდებით, და იძახით: ლოტო და ლოტო. ნეტა ლო-
ტოში რა დაგვეკარგათ, რომ ეძებთ. არა ნუ გგონიათ, რომ
იპოვოთ რამე, რასაც არ დაჰკარგამთ, ვერას იპოვნით,
(ქალები] არას ვიპოვნით, მაგრამ დროებას კი ვატარებთ (ნათ-
ლია] ჰო და მეც მანდ ელაპარაკობ, რომ ტყუილათ დროს
ჰკარგამთ, და რაც შინ საჭიროა იმას კი არ აკეთებთ [ქა-
ლები) ეჰ რას ლაპირაკობთ, საქმესაც ვაკეთებთ, დროებასაც
ვატარებთ, და ფულებსაც ვიგებთ. (ნათლია) ჰო, ფულებს!
განა არა, თქუენი ძველი სახლები, ოთხ ატაჟათ, რომ ვხედავ
ლოტოს ფულებით იქნება აშენებული. [ქალები] არა ფუ-
ლო ნათლია, მაგრამ, მაინც კი ვიგებთ. [ნათლია) ჰო,
ძალიან იგებთ კარგათ ვიცი რასაც იგებთ, ან რასაც აგებთ
[ქალები] თქუენ რა იცით, რომ ვაგებთ. [ნათლია
სალომეზედ კელს მიაშვერს) აი მომგები, პირველი თქუენში.
ჰო, ყველა ქალი მომგები ხართ, და წამგები კი აღარა, ისე
თქუენც მოიგებდით როგორც ამან მოიგო და ქმარი გაამ-
დიდრა. (ქალები) რა მოიგო ისეთი, რომ ქმარი გაუმდი-
დრებია. [ნათლია] სწორეთ მეც მაგას მოგახსენებთ რომ
ლოტოს მოგებული ფული არა ჩანსრა, და წაგებული კი, ამ
გვარად დაალონებს და ამ გვარად დააქცევს ქმარსა, როგორც
ჩემს პატიოსან ნათლი დედას დაუნელებია თავისი ოჯახი და
დაულონებია თავისი ქმარი. (ქალები) გაოცებით! როგორ

თუ დაუნელებია. რასა ჰრძ ნებთ. (ნათლია) ბატონო. რალა რასა, თქუჱნ რომ გელაპარაკებით, ამათი ცოდით თვალებიდგან ცრემლი მცვივა და მანამ მობძანდებოდით, თქუჱნ ბედნიერ თვალებს უნდა ენახათ, რომ ერთი ყოფა გვქონდა. (ქალები დალონებული და თავ ჩაქინდრული ეტყვან:] ოჰ, რასა ბრძანებთ მაგას. ნეტავი არც მოსულიყავით, და არც გაგვეგო, და ან რასათქმელია: (ნათლია) ბატონებო. როგორ სათქმელი არ არის, რომ დედაკაცმა შვდი თჳს გამამაელობაში ოცდა ათი თუმანი წააგოს ლოტოში და ქმარს კი შენახული ეგონოს. ქმარიც სამსახურიდგან რომ დაითხოვონ, აბა ბძანეთ რა იქ ებიან: (ქალები) ერთი სიტყვთ, როგორც თევზ'ი უწყლოთ ისე·..(ნათლია) აბა ბატონებო, მეც ამახ ვეუბნებოდი წინათ როდისაც ვნახავდი ხოლმე, და ცხვირს ამიკრამდა ხოლმე, და აჰა, ახლა თუ არა. აბა ეგენი ბძანდებიან რაც მოგახსენეთ. (ქალები შეწუხებულის სახით იძახიან) უი თქუჱნს უბედურებას! ქა, სალომე ეგ რა გიქნია, ქმარი რაზედ დაგიღუპავს, და ასე შენი თავი რათ გამოგისალმებია ამ წუთი სოფელში, ჩუჱნ შემარცხვენლათ, ოჰ, უჰ, ოჰ, იძახიან. [ნათლია] ქალებო, ჰხედავთ თქუჱნს ამხანაგს, თუ არა! (ქალები) ვხედავთ და შესაბრალისიც არის (ნათლია) არა! დანახუა და დანახვა, სხუა და სხვანაირი არის. იმგვარად უნდა დაინახოთ, რომ მარად ჟამს გულში გქონდესთ დანერგილი, განეშორნეთ ლოტოს თამაშობას, და აღარ ითამაშოთ. ამისათჳს, რომ ეს ერთი

მაგალითიცა კმარა ჩუენს საქართუელოში. (ქალები] უფალო ნათლია! თქუენი ლაპარაკი ძალიან მოგვეწონა, და მაგ დარიგებას უთუოდ არ დავივიწყებთ. კარგათა სჯით, მართლათაც რომ კელი უნდა ავილოთ და აღარ ვითამაშოთ, თორემ ჩუენც, რომ ეგ საქმე მოგვივიდეს? სწორეთ ქუეყანამი გამოვესალმებით. მაგრამ ერთიც უნდა მოგახსენოთ, თუ ისიც წინაალმდეგი არ იქნება ლოტოსავით. (ნათლია) რა მიბძანეთ. (ქალები) ამას მოგახსენებთ, რომ, თვეში ერთხელ ჩაიზედ ხალხი, რომ მოვიწვიოთ, და ლაპარაკით გავერთოთ, და წიგნები ვიკითხოთ, ესეც ხომ დასაძრახისი არ იქნება! [ნათლია] მაგისთანა საქმე არ არის წინაალმდეგობა, მაგრამ მეორე კარგი ბძ.ნეთ. თუ რაა ესა, რომ ლოტოში, რომ სხედხართ ხოლმე სიტყვისა და სიტყვის ნაწილში მალ-მალ წამოურევთ სოლმე პოჟოლუსტა, აბა სწორე შეიტყეთ პოჟოლუსტა, რა სიტყუა არის. ვითომ რუსულს ძალას ატანთ რუსული იცით, მაგრამ ვერც რუსულსა სწავლობთ შინაობაში და ვერც ქართული იცით . . .

. . . . . . .

. . . . . . .

. . . . . . .

(ქალები) უ. ნათლია! კარგათ კი არა და შეგვიძლიან ჯლიყინით კი წავიკითხოთ, და ამოდენა დედაკაცებმან როდისლა უნდა ვისწავლოთ. (ნათლია) აი როგორ ისწავლით, თქუენ აიღეთ სხუა და სხუა წიგნები გადაიკითხეთ, ქართული ჟუ-

რნალები გამოიწერეთ ხოლმე და მაშინ გაიკვეთამთ ენას, მაშინ გაიგებთ ქუეყნის მოთხრობას, და მაშინ გაგეხსნებათ მეყსიერება. ასე რომ მაშინ ეგები პოეტებზედ კარგათაც დასწეროთ. [ქალები) მაგას მართლა ბძ ნებთ, მაგრამ სირცხვილი არ იქნება რომ ჩუენი ნაწერი დაიბეჭდოს და სხუათ წაიკითხონ! [ნათლია) რასა ბძანებთ. სირცხვილი ის არი, ვინც არა იცისრა და ლაპარაკობს; სირცხვილი ის არის, ქორიკანობენ, სირცხვილი ის არის, ვინც სხუა და სხუა ნაირ კრასკებს ისმენ პირზედა, ჩაიცმენ ხაბარდანებსა და ისე დაბძანდებიან. აი ესენი სირცხვილი, და არა სწავლა. ქალებო, თქუენ კი არ გეწყინოთ, და გ. ჯორჯაძის კნეინა ჩუენისთანას ბევრსა სჯობდა, ყმითა და მამულითა, და ეხლაცა გვჯობია მაგრამ, ჰხედავთ იმის ნაწერს! ჰხედავთ საქართველოს გულისათჳს რამდენს შრომობს, მამ თქუენ ასე გეგონათ არავინა სწერდნენ, არა, მაგას ნუ იფიქრებთ, რომ არა ვინ იყოს შრომით მწერალნი. (ქალები) მამ წინაალმდეგი, ხომ არ არის თევში ერთხელ.. (ნათლია) წინაალმდეგი რათ იქნება, კიდევ ეგა სჯობია, ვიდრე თავ ჩაქინდრულები ლოტოს ნომრებში თვალები ჩაგეწყალოთ, ფულები წააგოთ და ბოლოს სიამოვნების მაგივრათ ერთ მანეთისთჳს თმაც დაუჭიროთ. [ქალები] როგორ თუ თმა! ჲ ნა ეგეც უნდა იყოს ჩუენში, არა, არა. ღმერთმან დაგვიფაროს. [ნათლია) თქუენკი ღმერთმან დაგიფაროთ, მაგრამ მეკი ჩემის თვალით მინახავს, რომ ქალს ერთმანეთი დეექო-

ჩროთ. [ქალები) სადა, რომელ ქუეყანაში, ან რაზედ. (ნათლია] რაღა რაზედ, ჩუენ რაზედაც ელაპარაკობთ სწორეთ იმაზედ და არა სხუაზედ. ჰო იმასა მკითხავდით.. ერთი ქალი იყო და იქაურიევე რძალი, და მეორე იქაური ქალი იყო, და . . . . . . ოჰ ღმერთო, მე რომ ისინი გააფუთრებულნი ენახე, ღმერთმან დაიფაროს ყოველი ქრისტიანი. ამასთანავე იმათი კელები; რომ გენახათ, ორივე მუჭაში თმები ჰქონდათ დაბღუჯული. . . . . და ვითომ ნიშნსაც უგებდნენ, არა მე ბევრი გცემეო, და არა მე ბევრი და გაელილი ჯეროდა. აჰა, როცა . . . ჩახვიდეო, პა რიკმახერს თუმკოსა გააკეთებინეო, რაკი შენი თმისა არისო. (ქალები] ხა, ხა, ხა, ხა, ეგ რა ანბები ყოფილა თქუენში (ნათლია] თქუენში უფრო არ მამხდარა! და პირდაპირაც არ ჰხედავთ, რაღა შორს მიბძანდებით. და მგონია კი კიდევ ენახო. (ქალები) აი რა მოგახსენოთ. ჩუენ ეს ექუსი ქალი გაძლევთ პირობას, რომ ჩუენ თუ კიდევ მოკლეს ხანში ნათამამევი დაგვინახოთ, მაშინ რაც უარესი იყოს ის ილაპარაკეთ, და სხვისა კი არ ვიცით. [ნათლია] ჰო, მაგაზედ მოსაწონი ხართ! რომ რაკი ერთხელ მაგალითს ჰხედავთ და თქუენც აღარა გსურთ, რომ ითამამოთ და იმედიცა მაქუს რომ აღარ ითამამოთ, ეგები პატარა ხანს ხალხი დაჩუმდნენ, ქალებო მგონია ლაპარაკით თავი შეგაბეზრეთ. ბოდიშს მოვიხდი რაც გაწყენინეთ, მაპატიეთ. [ქალები] ჩუენ არას შევწუხებულვართ, რაც მეხსიერება არ

გაგვეხსნა. (ნათლია] ოჰ, რა ძალიან დამგვანებია თქუენს ლაპარაკში. ქალებო თუ უკაცრავათ არ ვიყოთ, მშვდობით ბრძანდებოდეთ. (ქალები) მშვიდობით, მშვდობით!

კოსტანტინე სოლ. ბერძენოვი.

1868 წ. ნოემბრის 30 დღესა.

---

სინოპტიკური კალენდარი.

1869 წლისა.

ჩუენი ყმაწვილ კაცობა, რაც კი შეუძლიან, ძალიან მეცადინეობს; ბევრნი იმათგანი, რა არის ვონება უკეთ შეიმუშაონ და უკეთესი სწავლა მიიღონ, არა ზოგავენ ხარჯსა, მიდიან უცხო ქუეყნებში, სამზღვარს გარეთ და იქიდან მოდიან ჩუენს სამშობლოს ქუეყანაში ახალის ჰსწავლით, ახალის ჰაზრებითა, ახალის მიმართულებით. სხუათა შორის, ვიცნობთ ყმაწვლს კაცს, რომელმაცა აგრეთვე შეიმუშავა გონება უცხო ქუეყნებში, სასზღვარს გარეთ, და რაც დაინახა ჩუენის ქუეყნისათვს სასარგებლო, და ამას გარდა; რაც პირველს შემთხვევაში, შეიძლო ის სარგებლობა მოგვტანა

ამ პირველს მოსვლაშივე, ჩუენ ქართუელობას; ეს ყმაწვილი კაცი არის უფ. რაფიელ ისარლოვი. ამან გამოსცა ამ 1869 წლისათვს „სინოპტიკური კალენდარი." რომ უკეთ დავანახოთ „ცისკრის" მკითხუელებს და უკეთ გავაგებინოთ, შიგ მოხსენებული ცნობაები, თვთან უფ. ისარლოვის განცხადებასა ვბეჭდავთ ამასთანავე და ჩუენს ჰაზრსაც დავზინებთ, როგორც ამ კალენდარის ღირსებაზედ, ისე ჩუენის ქართველობისგან ამ კალენდრის მიღებაზე. აი, განცხადება უფ. ისარლოვისა:

გამოვიდა

სინოპტიკური კალენდარი

1869 წლისა.

ამ კალენდარში არინ: თვეების რიცხვი, აქაური და ევროპიული; მთვარის რიცხვი; ყოველი რჯულის უქმეები, ყოველი სამთავრო დღესასწაულები, ფოშტის წასვლის დღეები და ტელეგრაფის გაგზავნის ფასი მთელ საქართუელოში და გამოჩენილ ქალაქებში მთელი ქვეყნისა; მზის ამოსვლის დრო ტფილისში მთელი წლისათვს და სხ. ამ კალენდარზე არის წარმოდგენილი (ლიტოგრაფიით) ორი უმთავრესი ნაწილი ტფილისისა, რომლებიც არიან შემკული სხუა და სხუა მორთულობითა:

სინოპტიკური კალენდარი ისყიდება ტფილისში წიგნების მაგაზიებში:

უ. ბერნშტამისა, გოლოვინის პროსპექტზე (ბულვარზე.)

უ. ალადათოვისა, ტეატრის ახლოს.

უ. ენფენჯიანცისა, შტაბის გვერდზედ.

უ. მელიქიშვლისა და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე.

სინოპტიკური კალენდარი ისყიდება აგრეთვე. სხუა და სხუა მაგაზინებში. ფასი ყველგან არის.

კარტონზე.... 6 შაური.

—ვარაყით 8 შაური.

—დასაკეცი 10 შაური.

ფოტოგრაფიით — 3 აბაზი.

ტფილისის გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიან ფოშტით გამოიწერონ ეს კალენდარი შემდეგის ადრესით:

უფ. რაფიელს ისარლოვს, კალენდარის რედაქტორს, ჰაქიმოვის ქუჩაზე ტფილისში.

რომ დავიწყოთ ქება ამ კალენდარისა, ეს მეტი იქნება, ამისათვს, რომ არა გვგონია ჩუჱნ იმისთანა ქართუჱლი, რა დაინახოს ეს განცხადება, აქედან არ შენიშნოს ღირსებაც და სარგებლობაც. ამაზედ მეტი სასარგებლო რომელი იქნება, კაცს წინ ედვას, ყოველ დღე, არ უნდებოდეს აქა-იქ ქექა, გადამლა-გადმოშლა, და ერთის მეხედვით და ამოკითხვით, შეიტყოს იმ დღეს რა დღესასწაულია, ანუ რომელი წმინდანის დღე არის. კალენდარი არის დაბეჭდილი, მრთელს ერთს თაბახზე, მშვენიერის მხატრობით, რომლით წარმოდგენილია, ძველი და ახალი დრო; მაგრამ ჩუჱნ საუბედუროთ, ჩუჱნ ქართუჱლები, ყოველ სასარგებლო და საზოგადოთ კეთილს საქმეს, მეტად გულგრილათ ევკიდებით, ერთის

უბრალო, დროებით დი წარმავალს სიამონებაზე ვაზნევთ ჩუჱნ ცხოვრებას, და ამ გვარს სასარგებლო საქმეზე, ექვსი შაურის გამეტებაც გვეზარება· რალა გულით უნდა მოქმედებდეს ჩუჱნი ყმაწვლი თაობა, როდესაც რომ ექვსი შაური ვერ მიუციათ ჩუჱნ ქართველებს იმ სასარგებლო და ყოველ დღე სახმარ საგანზედ, რომელიცა დასჯდომია გამომცემს იქნება ორი იმოდენიც· ყური მოეკარით, ვითომც ათას ორასი ეკზემპლიარითგან, გაეყიდნოს, მხოლოდ ოთხასი, — ისიც ზოგი ნისიათ, რომლის მიღება ღმერთზე არის დამოკიდებული.

## 1869 წლის

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილბრივ, გაგზავნით თუ გაუგზავნელად 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქციაში ტფილისს.

Позволено цензурою. февраля 1. 1869. რედ. ი. კერესელიძე.